# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 4 ნოემბერი 2008 №255 (3479) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხვალ: რობერტო ბაჯო თქვენთვის!

# ხალხის სიყვარულისთვის დასჯილი

*მაია ჯიჯავა რომიდან*



41 წლის რობერტო ბაჯო ოდნავ მოტეხილი ჩანდა. თმაში ჭაღარა შეპარვია, ცნობილი კიკინაც აღარსად ჩანს... ის მაგიდას მიუჯდა და დიდი მწვანე თვალებით შემომხედა. მცირე უხერხული დუმილი... შემდეგ გაიღიმა და მანიშნა, რომ კითხვების დასმა შემეძლო...

### საქართველოზე

საქართველოში იტალიის ნაკრებთან ერთად რამდენიმე წლის წინ ვიყავი, თუმცა, რა თქმა უნდა, ვერ მოვახერხე ხეირიანად გავცნობოდი თქვენს ქვეყანას და ხალხს. ვიცი მხოლოდ, რომ ფეხბურთის მოყვარული ერი ხართ და გულწრფელად გისურვებთ წარმატებებს.

### ვქომაგობ ბოკას

უკვე დიდი ხანია, არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს“ ვგულშემატკივრობ. ეს ძალიან საინტერესო ისტორიაა. ერთ საღამოს სახლში მეგობრებთან ერთად ფეხბურთის ყურება მოგვინდა და რადგან ტელევიზორში იმ დროს მხოლოდ არგენტინის ჩემპიონატს აჩვენებდნენ...

### ვინ მგავს?

მაგალითად, ძალიან მომწონს ლეო მესი, ჩემს თავს მაგონებს.

### შეცდომა

...რა თქმა უნდა, შემეშალა! თავის დროზე ვიღაცები მაგრად უნდა მიმეტყეპა, რომ ერთხელ და სამუდამოდ მათთვის ჭკუა მესწავლებინა...

### რას ვერ ვპატიობ თავს

1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი... არ ვიცი, რამდენად არის ჩემი ბრალი ფინალიში მარცხი, მაგრამ მე მაინც ვერ ვივიწყებ იმ პენალტს...

# ჩვენ და თემური VS ჟოზე მაურინიუ

## ჩემპიონთა ლიგის წრე ვიწროვდება





# არავითარი დაპირისპირება
## ვარლამ კილასონიამ შუღლი უარყო



საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ფავორიტად მიჩნეულმა რუსთავის „ოლიმპმა" მე-9 ტურში ნანატრ გამარჯვებას მიაღწია — ქვემოქართლელებმა აუტსაიდერ ცხინვალს „სპარტაკს" 1:0 მოუგეს. მოგეხსენებათ, „ოლიმპს" ახალი თავკაცი ჰყავს, ვარლამ კილასონია, რომელსაც გუშინ გავესაუბრეთ და, რაღა თქმა უნდა, „სპარტაკთან" შეხვედრით დავიწყეთ...

— სასიხარულოა, რომ პირველი გამარჯვება მოვიპოვეთ. თავიდანვე შევძელით გატანა, თანაც ამ ჩემპიონატში პირველად მოხდა, ანგარიში რომ წავიყვანეთ. მთლიანობაში, ეს არ იყო ის თამაში, რასაც „ოლიმპი" უნდა აჩვენებდეს — ამ გუნდს გაცილებით მეტი შეუძლია.

— ეს გამარჯვება გუნდის ფსიქოლოგიურ მდგომარებას ოდნავ მაინც გამოასწორებს...

— რა თქმა უნდა, „სპარტაკთან" მოგება ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ.

— ამბობენ, რომ „ოლიმპის" უხეირო სტარტი შიდა დაპირისპირებების ბრალია — ფეხბურთელებს ერთმანეთთან ვერ აქვთ კარგი ურთიერთობაო. ამაზე რას იტყვით?

— ორი კვირაა, რაც „ოლიმპი" ჩავიბარე და სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ, რომ გუნდში არანაირი დაპირისპირება არ არის — ყველა თავის საქმეს აკეთებს და ფეხბურთელებსაც ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა აქვთ.

— როგორ ფიქრობთ, საპრიზო ადგილებისთვის შეძლებთ ბრძოლას?

— რატომაც არა?! „ოლიმპი" მაქსიმუმის მიღწევას ეცდება, როგორც ჩემპიონატში, ასევე თასზე.

**ნუგზარ ლოლაძე**

# ჭანტურიამ გაუგებრობა თქვა



გუშინდელ „სარბიელში" ვწერდით, რომ „ზესტაფონი" დატოვა გრიგოლ ჭანტურიამ.

„ბორჯომთან" (1:1) ნამატჩევს ეროვნული ნაკრების ყოფილ მეკარეს შელაპარაკება მოუვიდა კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიასთან. ამის მერე იმერულმა კლუბმა „გაგრასთან" (3:0) გამართა მატჩი, თუმც ჭანტურია განაცხადშიც არ იყო.

გუშინ ჭანტურიას რომ დავუკავშირდით, ბორჯომში მომხდარ ამბავს გაუგებრობა უწოდა: „ასეთი რამე ყველგან ხდება. „ბორჯომთან" ვერმოგების შემდეგ ყველანი გაწბილებულები ვიყავით და პატარა გაუგებრობა მოხდა. არა მგონია, რამე მოუგვარებელი იყოს. კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ ბორჯომში საგანგაშო არაფერი მომხდარა და ვფიქრობ, ყველაფერი მოგვარდება".

**ნუგზარ ლოლაძე**

# საქართველოს 20 ჩემპიონატი
## პირველი ლიგა 10 ტური

**სიონი 2 1:0 ამერი**

1:0 გიორბელიძე (87)

სიონი 2: გავაშელი, იობაშვილი, ნაყოფია, გ. ოქროპირიძე, ლ. ჩხეტიანი, ქურასბედიანი, ბუბუტეიშვილი, მ. ოქროპირიძე, ალფაიძე (მ. ჭაველაშვილი 89), გიგინეიშვილი (გიორბელიძე 78), შ. გაბრიჭიძე

სათადარიგონი: გურგენიძე, ბ. ჭაველაშვილი, უგულავა, რეხვიაშვილი, ყიფშიძე

მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

ამერი: ლ. ნადირაშვილი, ფუტკარაძე, გვაძაბია, ელბაქიძე, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, ბენდელიანი, ცხოვრებაშვილი (ნ. ქებაძე 46; ბუმბეიშვილი 80), ტიკურიშვილი, ჩიმაკაძე

სათადარიგონი: გვენცაძე, ჯ. ჯოხაძე, გ. ხელაძე

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ჩხეტიანი, ბენდელიანი, ქურასბედიანი, გავაშელი

მსაჯი: ლ. სილაგავა

სიონი 2 1:0 ამერი
კახეთი 1:1 თბილისი
დილა 1:1 ნ. დინამო
დინამო 2 0:0 ვიტ ჯორჯია 2
ჩიხურა 1:0 პერეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 10 | 7 | 2 | 1 | 22:7 | 23 |
| ამერი | 10 | 6 | 2 | 2 | 16:7 | 20 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 10 | 5 | 5 | 0 | 18:3 | 20 |
| დინამო 2 | 10 | 5 | 3 | 2 | 14:8 | 18 |
| დილა | 10 | 4 | 4 | 2 | 15:8 | 16 |
| სიონი 2 | 10 | 3 | 3 | 4 | 15:27 | 12 |
| თბილისი | 10 | 3 | 2 | 5 | 14:17 | 11 |
| გაგრა 2 | 10 | 2 | 2 | 6 | 13:22 | 8 |
| კახეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 6:17 | 8 |
| ნორჩი დინამო | 10 | 1 | 4 | 5 | 12:18 | 7 |
| ჰერეთი | 10 | 1 | 3 | 6 | 7:18 | 6 |

გურია 1:2 სამტრედია
კოლხეთი 0:0 ბაია
მეშახტე 1:2 ხობი
ტორპედო 2008 2:0 ზესტაფონი 2
ბათუმი 2:2 მერანი (მ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაია | 10 | 7 | 2 | 1 | 18:4 | 23 |
| მერანი (მ) | 10 | 6 | 3 | 1 | 19:8 | 21 |
| კოლხეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 14:5 | 20 |
| სამტრედია | 10 | 6 | 1 | 3 | 18:8 | 19 |
| ჭიათურა | 10 | 5 | 1 | 4 | 17:11 | 16 |
| ხობი | 10 | 4 | 3 | 3 | 9:9 | 15 |
| ზესტაფონი 2 | 10 | 3 | 2 | 5 | 9:15 | 11 |
| ტორპედო 2008 | 10 | 3 | 1 | 6 | 5:7 | 10 |
| ბათუმი | 10 | 2 | 3 | 5 | 12:19 | 9 |
| გურია | 10 | 2 | 3 | 5 | 11:20 | 9 |
| მეშახტე | 10 | 0 | 1 | 9 | 6:27 | 1 |



„ამერმა" ბოლნისში მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა



# კუპერის მეორე სამშაბათობა

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა იმ ფეხბურთელთა სია გამოაცხადა, ვისაც დღეს საგურამოში ავარჯიშებს.

შეგახსენებთ, რომ ასეთი ვარჯიში ერთხელ უკვე ჩაატარა არგენტინელმა სპეციალისტმა.

პირველ ვარჯიშზე კუპერმა ნაკრების კანდიდატებს ელემენტარული დავალებები მისცა, რასაც, წესით, ბავშვობაში უნდა ასწავლიდნენ ფეხბურთელს, თუმცა ეს რომ ქართველებისთვის მაინც უცხო ხილია, საკამათო ნაღდად არ არის.

კუპერმა ამჯერად რამდენიმე ისეთ ფეხბურთელს უხმო, პირველ ვარჯიშზე რომ არ ჰყავდა. ესენი არიან — მირზა მერლანი და ნოდარ მაჭავარიანი „ოლიმპიდან", ზაზა ჭელიძე „სიონიდან" და გიორგი მერებაშვილი „დინამოდან".

საგურამოს ბაზაზე წვრთნა 15.30 საათზე დაიწყება.

*მეკარეები: გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), მირზა მერლანი (ოლიმპი), რევაზ თევდორაძე (გაგრა);*

*მცველები: დავით გიგაური (გაგრა), ნოდარ მაჭავარიანი (ოლიმპი), გურამ კაშია (დინამო), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), ზაალ ელიავა (დინამო), გიორგი სეთურიძე (ოლიმპი);*

*ნახევარმცველები: დავით ოდიკაძე (დინამო), ლევან ხმალაძე (დინამო), ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ზაზა ჭელიძე (სიონი);*

*თავდამსხმელები: გიორგი მერებაშვილი (დინამო), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რატი ალექსიძე (ლოკომოტივი).*

**ნუგზარ ლოლაძე**

### ბრაზილია
სერია A
ფლუმინენსე 0:1 ვასკო
გრემიო 1:1 ფიგეირენსე
სან პაულუ 3:0 ინტერნასიონალი

### ბულგარეთი
A ჯგუფი
ბოტევი 2:1 სლავია

### ინგლისი
პრემიერლიგა
ნიუკასლი 2:0 ასტონ ვილა
ჩემპიონატი
ბირმინგემი 0:1 ძოვენთრი

### გერმანია
II ბუნდესლიგა
ლაუტერნი 0:0 მიუნხენი

### იტალია
სერია B
ასკოლი 1:1 რიმინი
ლივორნო 2:0 ბრეშა
სერია C1/B
ბენევენტო 1:1 მარჩინიზე

### პორტუგალია
სუპერლიგა
მარიტიმუ 4:2 ნასიონალი

### შვედეთი
ალსვენსკა
ელფსბორგი 3:0 ჰალმსტადი
ჰამარბი 3:6 მალმიო
გიოტებორგი 3:1 იურგორდენი

### ჩილე
კლაუსურა
უნ. დე ჩილე 5:3 ჰიგინსი
უაჩიპატო 0:2 კოლო კოლო
ესპანიოლა 2:1 რეინჯერსი

### ჩეხეთი
გამბრინუსლიგა
ბანიკი 2:0 სპარტა

### საფრანგეთი
II დივიზიონი
სტრასბური 1:1 ლანსი

### მექსიკა
კლაუსურა
სანტოსი 1:1 ტიგრესი

### იაპონია
იმპერატორის თასი
კავასაკი 3:1 იამაგატა
ტოკიო 2:1 სენდაი
ურავა 1:0დ.დ. ეიმე

### რუსეთი
პრემიერლიგა
კრილია 4:0 შინიკი
ლოკომოტივი 0:1 დინამო

### თურქეთი
II ლიგა
რიზე 0:0 კასიმპასა

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა
თუნი 2:4 ივერდონი

## საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 9 ტური

# ყველაფერით სავსე, მაგრამ ცარიელი

მე-9 ტურის მთავარი მატჩი „ეროვნულზე“ გაიმართა. „დინამომ“ და „ვიტ ჯორჯიამ“ მართლაც ლაღად იბურთავეს და საწყის 16 წუთში უკვე სამი გოლი ვიხილეთ — პირველი ორი ვიტელებმა გაიტანეს.

შეტევაში კარგად ირჯებოდნენ ვახტანგ კვარაცხელია და ჯაბა ლიპარტია. სწორედ მათ აქტიურობას მოჰყვა გოლებიც. ჯერ ლიპარტიას ჩაწოდებულს შეაგება თავი კვარაცხელიამ და თავისი გუნდი დააწინაურა, მალევე კი ლიპარტია წააქციეს საჯარიმოში და ლუკა რაზმაძემ შარშანდელი აღარ გაიმეორა — უნაკლოდ დაარტყა პენალტი.

ორ წუთში დინამოელებმა პენალტითვე უპასუხეს. გრიგოლ ბედიაშვილმა მათე ვაწაძე წააქცია და დავით ოდიკაძემ ერთი ბურთი გაქვითა.

პირველი ნახევარი განსაკუთრებით კარგი იყო. წამით ვერ მოწყვეტდით თვალს, ორივე კართან მრავლად იყო სახიფათო მომენტები.

მეორე ნახევარში ერთ ეპიზოდში ლიპარტია ისევ წააქციეს საჯარიმოში, მაგრამ არბიტრმა პენალტი არ დანიშნა, საკამათო სიტუაცია იყო. ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთმა ბომბარდირმა მათე ვაწაძემ კი თავისი მაინც გაიტანა — ოდიკაძის მარჯვნიდან ჩაწოდებულს თავი შეაგება და 2:2 გახადა.

გუნდები ამის შემდეგაც იწევდნენ შეტევაში, თუმცა მეტი გოლი აღარ გასულა.

ერთადერთი, რაზეც გული დაგვწყდა, ის იყო, რომ ასეთ მატჩს გაცილებით მეტი მაყურებელი უნდა ჰყოლოდა. ცარიელი ტრიბუნები ჩვენი საკლუბო ფეხბურთის დიდი პრობლემაა და გვინდა, გულშემატკივარს ერთხელაც ვუთხრათ, რომ ეს ეროვნული ჩემპიონატი გაცილებით კარგი სანახავია, ვიდრე გასულ წლებში იყო, გულშემატკივართა სიმრავლე კი კიდევ მეტ ეშხს შემატებს მატჩებს.

ასე რომ, ნუ დაიზარებთ სტადიონზე მისვლას.

ბევრისთვის მოულოდნელად ლიდერი „ლოკომოტივი“ შინ დამარცხდა ბოლნისის „სიონთან“. ოთარ კორღალიძის შეგირდები მთელი 90 წუთი ფლობდნენ უპირატესობას და მრავლად ხიფათი შექმნეს გიორგი ლომაიას კართან. მატჩის ერთადერთი გოლი ბოლნისელთა ლიდერმა ალექსანდრე კოშკაძემ გაიტანა.

„ლოკომოტივი“ მხოლოდ 85-ე წუთზე დაემუქრა მინდია ბობლიაშვილის კარს, თუმც დავით ჩაგელიშვილის დარტყმულს გელა ხუბუა გადაელობა და ვითარებაც განმუხტა.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი რატი ალექსიძე ძალიან ინერტული იყო...

არბიტრ ლევან კვარაცხელიას ერთ ეპიზოდში ეროვნული ნაკრების მეკარე ლომაია რომ გაეძევებინა, აუგს ვერავინ ეტყოდა — „ლოკომოტივის“ კარის დარაჯმა საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა, მაგრამ არბიტრმა წესის დარღვევა ვერ შენიშნა.

სხვათა შორის, ამ მატჩს საქართველოს ნაკრების თავკაცი ექტორ რაულ კუპერი დაესწრო.

რუსთავში აუტსაიდერთა შეხლა იყო და, როგორც იქნა, პირველი გამარჯვება მოიპოვა „ოლიმპმა“.

ერთადერთი გოლი მე-3 წუთზე გიორგი სეთურიძემ შეაგდო.

ცხინვალელებს შეტევაში თითქმის არაფერი გაუკეთებიათ, რუსთაველებს კი კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ „ოლიმპის“ თავდამსხმელებმა კვლავაც ვერ ივარგეს.

ასეა თუ ისე, „ოლიმპმა“ მოიგო და ეროვნულ ჩემპიონატში მოუგებელი აღარავინ დარჩა...

სამხრეთელთა დერბი უხვგოლიანი გამოდგა. უფულობით გაწვალებულმა „ბორჯომმა“ ახალციხის „მესხეთს“ არაფერი დაუთმო. ბორჯომელთა ყოჩობა ამჯერადაც ირაკლი კიკნაძემ ითავა. ამ ბიჭმა ორი გოლი გაიტანა და ბლომად თავსატეხიც გაუჩინა „მესხეთის“ მცველებს. აშკარაა, ის მე-20 ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენაა.

ნამატჩევს ახალციხელთა მთავარი მწვრთნელი კობა თედიაშვილი უკმაყოფილო იყო შეგირდების გარჯით. ისიც თქვა, რაც „ჯემალ ზეინკლიშვილია“ ჩვენი შინაური სარბიელი, მატჩი ვერ მოვიგეთ, მგონი, დავითარსეთო.

საქართველოს თასის მფლობელ „ზესტაფონს“ ერთი საათი უძალიანდებოდა დებიუტანტი „გაგრა“, თუმც დიდი ანგარიშით წაგებას მაინც ვერ გადაურჩა — ბოლო ნახევარ საათში იმერლებმა სამჯერ იხეირეს. აღსანიშნავია შეცვლაზე შესული ნიკა კვასხვაძის გარჯა. ის ძალიან აქტიურად ჩაერთო თამაშში, მეორე გოლში შეიტანა წვლილი, მესამე კი თავად გაიტანა.

**ნუკრი ლოლაძე**



ვახტანგ კვარაცხელიამ დინამოელებს ბევრი პრობლემა შეუქმნა

ლოკომოტივი 0:1 სიონი
მესხეთი 2:2 ბორჯომი
ოლიმპი 1:0 სპარტაკი
დინამო 2:2 ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი 3:0 გაგრა
*მგლები ისვენებდა*

**მეათე ტური**

7 ნოემბერი. პარასკევი
ლოკომოტივი – ოლიმპი
სიონი – ვიტ ჯორჯია
სპარტაკი – ზესტაფონი
მგლები – დინამო
8 ნოემბერი. შაბათი
გაგრა – მესხეთი
*ბორჯომი ისვენებს*

**სიმბოლური ნაკრები**

მათე ვაწაძე — *დინამო*
გურამ სამადაშვილი — *მესხეთი*
ვახტანგ კვარაცხელია — *ვიტ ჯორჯია*
ჯაბა ლიპარტია — *ვიტ ჯორჯია*
შოთა გრიგალაშვილი — *მესხეთი*
ირაკლი კიკნაძე — *ბორჯომი*
ალექსანდრე კოშკაძე — *სიონი*
როინ ონიანი — *ზესტაფონი*
ალექსანდრე კვახაძე — *ვიტ ჯორჯია*
გიორგი სეთურიძე — *ოლიმპი*
დიდიე ოვონო — *დინამო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | 13:4 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 2 | 1 | 10:5 | 17 |
| ზესტაფონი | 8 | 4 | 2 | 2 | 8:4 | 14 |
| დინამო | 8 | 4 | 1 | 3 | 14:10 | 13 |
| მგლები | 8 | 4 | 0 | 4 | 10:8 | 12 |
| სიონი | 8 | 3 | 3 | 2 | 7:4 | 12 |
| ბორჯომი | 9 | 2 | 4 | 3 | 10:14 | 10 |
| მესხეთი | 8 | 2 | 4 | 3 | 7:9 | 9 |
| გაგრა | 9 | 2 | 2 | 5 | 7:14 | 8 |
| ოლიმპი | 8 | 1 | 5 | 2 | 5:7 | 8 |
| სპარტაკი | 8 | 1 | 0 | 7 | 5:17 | 3 |

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 6 - | ალექსიძე | *ლოკომოტივი* |
| | ვაწაძე | *დინამო* |
| 5 - | გ. თოდუა | *მგლები* |
| | ი. კიკნაძე | *ბორჯომი* |
| 4 - | კოშკაძე | *სიონი* |
| | გელაშვილი | *ზესტაფონი* |
| 3 - | ლომაია | *მგლები* |
| | სამადაშვილი | *მესხეთი* |



„ბორჯომის“ საამსეზონო მიზანი უმაღლეს ლიგაში დარჩენაა. ამ ამოცანის გადაჭრა კურორტელებისთვის არც ისე ადვილია, რადგან ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდმა მოსამზადებელი შეკრება, ტრადიციულად, ვერ გაიარა. ასეა თუ ისე, ბორჯომელები ქულების დაგროვებას მაინც ახერხებენ და ამაში მათ 21 წლის შემტევი ირაკლი კიკნაძეც ეხმარებათ, ვინც „ვიტ ჯორჯიას“ საკუთრებაა და „ბორჯომში“ იჯარით თამაშობს...

# იქ მინდა. სადაც სულ ვითამაშებ

## ირაკლი კიკნაძე: კუპერი ჩვენი სტიმულია

— თავიდან „ბორჯომში“ ვთამაშობდი, მერე „ვიტ ჯორჯიაში“ გადავედი და მალევე „მესხეთში“ ნახევარი სეზონით გამანათხოვრეს. მერე ვიტელებთან ცოტა ხნით დავბრუნდი და ისევ გამომიშვეს ზამთრის შესვენებამდე. „ვიტ ჯორჯიაში“ სათამაშო დრო თითქმის არ მქონდა, აქ კი მუდმივად 90 წუთი მიწევს მოედანზე ყოფნა, რაც ახლა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, სათამაშო პრაქტიკა ჰაერივით მჭირდება.

— წლევანდელ ჩემპიონატში უკვე ხუთი გოლიც გაიტანე, რაც ნახევარმცველისთვის ცოტა არ არის...

— ვგრძნობ, რომ უკეთ ავთამაშდი, ნელ-ნელა ვუმატებ. ქულებსაც ვაგროვებთ, მაგრამ ჩვენგან, მგონი, ამდენსაც არ ელოდნენ. მოსამზადებელი ეტაპი ომის გამო ვერ გავიარეთ და ეს ძალიან გვეტყობა. განსაკუთრებით, პირველ ტურებში გაგვიჭირდა.

— ისე, ბევრი ამბობს, რომ ჩემპიონატის დონე ცოტა გაუმჯობესდა...

— დიახ, წლევანდელი აშკარად უკეთესია წინაზე, თანაც მატჩების რაოდენობაც გაიზარდა. საერთოდ, ბევრი თამაშის ჩატარება კარგია, მაგრამ ჩვენ ძალიან გვიჭირს. ახლაც ორ კვირაში ოთხი მატჩი ჩავატარეთ, რაც ძალიან რთული იყო. როგორც ვთქვი, ნორმალური შეკრების გაუვლელობამ დაღი დაგვასვა. ბიჭები დაქანცულები არიან. „ბორჯომის“ მიზანიც ლიგაში დარჩენა იქნება. ახლა სხვას ვერაფერს გეტყვით.

— ცხრა თამაშში ხუთი გოლი ნახევარმცველისთვის, როგორც ვთქვით, ცოტა არ არის. ჩანს, მაინც კარგ ფორმაში ხარ...

— რა გითხრათ, ცუდად არ ვგრძნობ თავს, მაგრამ მეტიც შემიძლია. ვარჯიშს და მონდომებას არ ვაკლებ, თან მარცხენა ფლანგზეც კარგად ვთამაშობ. „მესხეთში“ ცენტრფორვარდად ვთამაშობდი და გამიჭირდა, ჩემთვის იდეალური ეს ადგილია. ისე კი, თამაშის დროს ვიცვლი ხოლმე ფლანგებს.

— ჰექტორ რაულ კუპერმა ნაკრებში ჩემპიონატიდან ბევრი ფეხბურთელი მიიწვია. ამან შენც ხომ არ მოგცა სტიმული?

— რა თქმა უნდა, მეც და სხვებსაც. ყველა მონდომებული ვარჯიშობს. როცა ხედავ, რომ ნაკრების მწვრთნელი ჩემპიონატს ასეთ ყურადღებას აქცევს, თავისთავად, იმედიც გიჩნდება. ნაკრები ხომ ყველა ფეხბურთელის ოცნებაა...

— ზამთარში რას იზამ, დაბრუნდები „ვიტ ჯორჯიაში“ თუ „ბორჯომში“ გააგრძელებ თამაშს?

— „ვიტ ჯორჯიას“ საკუთრება ვარ და ზამთრის შესვენების დროს ცოტა ხნით მაინც უნდა დავბრუნდე. ისე, მე იქ მირჩევნია ყოფნა, სადაც მეტი სათამაშო დრო მექნება. როგორც ვთქვი, ახლა მთავარი სათამაშო პრაქტიკაა.

ლევან მაისურაძე

# დისკოს მოცეკვავემ ადამია ასხნა

## კიდევ ერთი ქართველი ოლიმპიკში?



გიორგი ადამია



იურგენ გედე

გიორგი ადამია ბაქოს „ნეფთჩის“ კი არა, მთლიანად აზერბაიჯანის ჩემპიონატის საუკეთესო ფორვარდთაგანი გახლდათ, თუმცა რაც მოხდა, გეცოდინებათ: ადამია კლუბიდან გაუშვეს.

ეს „მენავთობეების“ გერმანელი მწვრთნელის, იურგენ გედეს გადაწყვეტილება იყო, თუმც აზერბაიჯანული მედია ვარაუდობს, გედემ კლუბის პრეზიდენტ აკპერ გაჯიევის ბრძანება შეასრულაო.

„არა, გადაწყვეტილება მე მივიღე, სადიგოვი, ადამია და ჩერტოგანოვი გუნდიდან გავუშვი, კლუბის ხელმძღვანელობა კი გაგებით მოეკიდა ჩემს ვერდიქტს“ — თქვა გედემ საგანგებო პრესკონფერენციაზე.

გერმანელმა სპეციალისტმა, რომელიც აზერბაიჯანის ნაკრებში ბერტი ფოგტსის თანაშემწეცაა, გუნდის ლიდერებს უსულგულო თამაში დააბრალა...

„ისინი ჩემს მოთხოვნებს არ ასრულებდნენ. გამოცდილმა ფეხბურთელებმა გუნდის თამაში უნდა წაიყვანონ, ადამია-სადიგოვ-ჩერტოგანოვის სამეული კი პირიქით იქცეოდა. მე ისეთი ფეხბურთელები მჭირდება, რომლებსაც თამაში შიათ. ამ სამეულს კი შეუძლია, დუბლებში ივარჯიშოს, ძირითადში მათ დაბრუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია“.

ჟურნალისტებმა გედეს შეუტიეს, „ინტერთან“ მატჩის შემდეგ დისკოთეკაზე განახესო. გერმანელმა კი უპასუხა, ჯერ ერთი, იქ მოიკ-თან თამაშის შემდეგ ვიყავი, მეორეც, ჩემს „ტანცი-მანცებს“ ფეხბურთელების გაშვებასთან საერთო არაფერი აქვსო.

ერთი კი ნაღდია, გერმანელ მწვრთნელებს აზერბაიჯანში ბევრი კრიტიკა ატყდებათ თავს — მათი მისვლის შემდეგ ნაკრების შედეგი კი არ გაუმჯობესდა, გაუარესდა. იმასაც ამბობენ, ფოგტსს და მის ამალას მალე დაატოვებინებენ კავკასიასო.

თუმც ეს აზერბაიჯანელების პრობლემაა, ჩვენ კი ადამია გვაინტერესებს...

ზამთარში გიორგი იოლად მონახავს ახალ კლუბს — სხვა ქვეყნებს რომ თავი დავანებოთ, აზერბაიჯანის ოთხი გუნდი ეპატიჟება და მათ შორის, ყველაზე მეტად ბაქოს „ოლიმპიკი“ აქტიურობს.

„შესაძლოა, არიან ისეთი მწვრთნელები, რომლებსაც ადამია არ სურთ, მაგრამ მე მათ შორის არ ვარ“ — თქვა „ოლიმპიკის“ თავკაცმა ასკერ აბდულაევმა.

ცნობისთვის, ამ ბაქოურ კლუბს სამი ქართველი უკვე ჰყავს: რევაზ გეწაძე, მიხეილ ხუციშვილი და რომან ახალკაცი.

ადამიას კი გუშინ „ნეფთჩის“ დუბლებში უვარჯიშია...

„ამჟამად „ნეფთჩის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებში ვარ. ამის შემდეგ გაირკვევა, წავალ თუ არა თბილისში. დღეს კი დუბლებში ვივარჯიშე, რათა ფორმიდან არ ამოვვარდე. აი, დუბლებში ვითამაშებ თუ არა, ეს ჯერ არ ვიცი“.

ილია ნანობაშვილი

# გიორგი დემეტრაძე: ყველა ფეხბურთელს უნდა ბევრი გოლი და ბევრი ფული



გიორგი დემეტრაძემ რომ „ბაკის“ მაისურით პირველი ჰეთ თრიქი შეასრულა, ამაზე უკვე ვწერდით. „დემეს“ გუნდმა 10:0 სძლია „უნივერსიტეტს“ და სწორედ ნაჰეთთრიქევს გაესაუბრა მას აზერბაიჯანელი ჟურნალისტი...

— თქვენს კარიერაში ასეთი ანგარიშით მოგება პირველი იყო?

— ასე ვთქვათ: ერთ-ერთი ყველაზე დიდანგარიშიანი მოგებაა. მეტოქეზე ცუდს არაფერს ვიტყვი, მაგრამ ათზე მეტის გატანაც შეგვეძლო. პირველივე მატჩის შემდეგ გვინდოდა თასის მეოთხედფინალში გამსვლელის გარკვევა და ეს მოვახერხეთ.

— ათიდან სამი თქვენ გაიტანეთ. მეტი გინდოდათ?

— რა თქმა უნდა, ყველა ფორვარდს სურს ბევრი ბურთის გატანა. ყველა ფეხბურთელს უნდა ბევრი გოლი და ბევრი ფული.

— აზერბაიჯანის თასზე რა გეგმები დაგისახათ „ბაკის“ ხელმძღვანელობამ?

— მხოლოდ გამარჯვება. მე ძლიერ და ამბიციურ კლუბში მოვედი, ასე რომ, ნებისმიერი ტურნირის მოსაგებად უნდა ვიბრძოლოთ.

— უკვე ხშირად ხვდებით ძირითად შემადგენლობაში...

— ორი თვეა, აქ ვარ. ეს კი საკმარისი დროა, რათა აქაურ ფეხბურთს შევგუებოდი. სათამაშო ხარისხში მოვუმატე და მწვრთნელიც უკვე მენდობა.

— ჩემპიონატის მომდევნო ტურში „გაბალას“ ხვდებით. რას იტყვით ამ მატჩზე?

— სერიოზული მეტოქეა, მაგრამ ჩვენ არანაკლებ გვჭირდება ქულები. ძნელი მატჩები უკვე გავიარეთ, ახლა კი მაქსიმალურად უნდა გავფრთხილდეთ, რათა ქულები აღარ დავკარგოთ — მხოლოდ ამ შემთხვევაში დავასრულებთ პირველ წრეს ლიდერის პოზიციაზე, რაც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია.



# კალაძის დაბრუნება

საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე გამოჯანმრთელდა — სერია A-ს მე-10 ტურში „მილანმა“ „ნაპოლის“ შინ 1:0 სძლია და ქართველი მცველი 75-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

შეგახსენებთ, რომ კალაძე შვეიცარიულ „ციურიხთან“ საუეფასთასო მატჩში დაშავდა და აქამდე მკურნალობდა.

ამ გამარჯვებით „მილანს“ 22 ქულა აქვს და სერია A-ს ლიდერობს.

**კახა შალამბერიძე**

# კრასნოჟანმა გოგუა არ დაძაბა



რუსული პრემიერლიგის 27-ე ტურში, „ტომთან“ (1:1) მატჩში ნალჩიკელ გოგიტა გოგუას არ უთამაშია — წინა დღეს ის სარეზერვო გუნდში გაისარჯა და 87-ე წუთზე შეცვალეს.

ნალჩიკის „სპარტაკის“ მთავარმა მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა გოგუას ამბავი სამუშაო პროცესით ახსნა და ჟურნალისტებს მოკლედ განუცხადა: „ეს ჩვეულებრივი სამუშაო ვითარებაა. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ჩვენ ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა გვაქვს და სიტუაციის დაძაბვა საჭირო არ არის“.

**კახა შალამბერიძე**

# დინამო რეიტინგში: მინუს 14

საკლუბო რეიტინგის ტოპ-350-ში ქართული კლუბებიდან კვლავაც თბილისის „დინამო“ მოხვდა, თუმც 14 საფეხურით ჩამოქვეითდა და 10 გუნდთან ერთად, 280-289-ე ადგილებზეა.

უკვე ექვსი თვეა, 350-ეულიდან მხოლოდ „დინამოა“ რეიტინგში, არადა, ადრე „ამერი“, „ზესტაფონი“ და „ვიტ ჯორჯიაც“ ხშირად ხვდებოდნენ.

ისე, საკლუბო რეიტინგი ისეთი მოქნილი და აქტუალური ვერ არის, როგორც სანაკრებო — აქ შედეგები ბოლო 12 თვის მიხედვითაა მოცემული, რაც კონკრეტულად, სადღეისო ვითარებას ნაკლებად ასახავს.

მაგალითად, „რეალი“ 38-ე ადგილზეა როცა „ბორდოს“ 24-ე „ოლიმპიაკოსს“ კი 31-ე პოზიცია უკავიათ.

რეიტინგის სათავეში ლიდერი შეიცვალა — „მანჩესტერ იუნაიტედი“ მესამეზე ჩამოხტა, მისი ადგილი კი „ლივერპულმა“ და „ბარსელონამ“ დაიკავეს — ორხელისუფლებიანობაა...

**ილია ნანობაშვილი**

| | | |
|---|---|---|
| 1 (3) | ლივერპული | 270 |
| 2 (5) | ბარსელონა | 270 |
| 3 (1) | მანჩესტერი | 269 |
| 4 (2) | ჩელსი | 260 |
| 5 (4) | ბოკა ხუნიორსი | 250 |
| 6 (6) | ბაიერნი | 239 |
| 7 (7) | ფიორენტინა | 235 |
| 8 (8) | ინტერი | 229 |
| 9 (10) | ლიონი | 224 |
| 10 (11) | არსენალი | 222 |
| 280 (266) | დინამო | 68 |

# ომარ თეთრაძის ანჟი ორწლიანია



რუსეთის პირველდივიზიონელი მახაჩყალის „ანჟის“ მთავარმა მწვრთნელმა ომარ თეთრაძემ კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა.

ახალი ხელშეკრულებით, თეთრაძე „ანჟის“ კიდევ ორი წელი უთავკაცებს.

გეხსომებათ, ცოტა ხნის წინ თეთრაძე გუნდიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა.

**კახა შალამბერიძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ნაპოლი 1:0 | 15 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 1 |
| ლევან მჭედლიძე | პალერმო | შ | კიევო 3:0 | 0 | | 2 | 1 | 9 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ვესტ ბრომვიჩი 2:2 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 13 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | კოტბუსი 2:0 | 90 | | 8 | 0 | 4 |
| ლევან ყენია | შალკე | ს | კოტბუსი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 4 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | ს | ჰოფენჰაიმი 1:4 | 65 | შეცვალეს | 9 | 0 | 14 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენ 1860 | ს | ლაუტერნი — ნურნბ | | | 5 | 0 | 9 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | აუგსბურგი | ს | ოსნაბრიუკი 1:1 | 0 | | 2 | 0 | 16 |
| დავით თარგამაძე | ფრაიბურგი | ს | ინგოლშტადტი 0:4 | 0 | | 1 | 0 | 3 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი | ს | აუსტრია 3:1 | 90 | | 14 | 0 | 2 |
| ილია კანდელაკი | შტურმი | ს | აუსტრია 3:1 | 90 | | 14 | 0 | 2 |
| **ავსტრია. ერსტელიგა** | | | | | | | | |
| მირზა ბჟალავა | ა. ლუშტენაუ | ს | ზალცბურგი (მ) 0:1 | 0 | | 4 | 0 | 11 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი | შ | დინამო 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 10 | 0 | 7 |
| დავით კვირკველია | რუბინი | ს | სატურნი 2:1 | 90 | გააფრთხილეს | 24 | 3 | 1 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | სატურნი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 14 | 0 | 1 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | სატურნი 2:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 1 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | შ | ტომი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 21 | 1 | 10 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | ნალჩიკი | შ | ტომი 1:1 | 0 | დისკვალიფიკაცია | 25 | 3 | 10 |
| დავით სირაძე | ნალჩიკი | შ | ტომი 1:1 | 45 | შეცვალეს | 24 | 4 | 10 |
| ლევან გვაზავა | ლუჩ-ენერგია | შ | ამკარი 0:1 | 90 | | 24 | 2 | 15 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | დინამო | შ | კარპატი 4:0 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 0 | 1 |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | კარპატი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | შ | კარპატი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | შ | კარპატი 4:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ლვოვი 4:2 | 33 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 1 | 14 |
| ლადო ბურდული | ტავრია | ს | ლვოვი 4:2 | 0 | | 2 | 0 | 14 |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია | ს | შახტარი 1:3 | 90 | | 9 | 1 | 8 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | ს | მეტალისტი 0:2 | 0 | | 9 | 0 | 9 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | შ | კრივბასი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 6 |
| სანდრო კობახიძე | დნიპრო | შ | კრივბასი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| ბექა ბერაშვილი | დნიპრო | შ | კრივბასი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| სანდრო გურული | კარპატი | ს | დინამო 0:4 | 90 | | 5 | 0 | 11 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | ჩერნომორეცი 2:0 | 0 | | 0 | 0 | 2 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოლესლავი | ს | ლიბერეცი 3:3 | 0 | | 1 | 0 | 2 |
| დიმიტრი ტატანაშვილი | პლზენი | შ | იაბლონეცი 1:1 | 0 | | 10 | 1 | 11 |
| **სლოვაკეთი. კორგონ ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ლილუაშვილი | ნიტრა | ს | არტმედია 1:1 | 60 | შეცვალეს | 14 | 2 | 9 |
| მირიან ქითავა | ტატრანი | შ | ჟილინა 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ივანიშვილი | ციურიხი | ს | იანგ ბოისი 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| **დანია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| დავით დევდარიანი | ორჰუსი | შ | მიდტიულანდი 2:1 | 0 | | 0 | 0 | 5 |
| **დანია. 1 დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | შ | ჰერფიოლგე 2:4 | 90 | | 9 | 0 | 3 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

## A ჯგუფი




# პური აღარა ვჭამო?
## რომში რომაელებმა რომაელები დაახურდავეს

„გუნდს სიმშვიდე და ენთუზიაზმი სჭირდება ვითარების გამოსასწორებლად, მაგრამ ამ მომენტისთვის ჩვენ არც ერთი გვაქვს და არც მეორე" — განცხადა ლუჩანო სპალეტიმ.

შაბათს „იუვენტუსთან" სტუმრად მარცხის (20) შემდეგ ტურინიდან რომში ავტობუსით დაბრუნებულ ფეხბურთელებს გაავებული ფანები დახვდნენ. ავტობუსს ქვები და ხურდა დაუშინეს, მოღალატეები ეძახეს და თან უყვიროდნენ: „თქვენ დაქირავებულები ხართ, ფულს გიხდიან და წესიერად იმუშავეთ!"

„რომა" დღეს „ჩელსის" უმასპინძლებს, რომელმაც ორი კვირის წინ „სტემფორდ ბრიჯზე" ჯონ ტერის თავურით 1:0 მოუგო.

სპალეტის გუნდმა ბოლო ხუთი მატჩი ისე წააგო, რომ ერთ გოლზე მეტი ვერ გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ „ჩელსი" 2 აპრილის შემდეგ სტუმრად არცერთ ტურნირში არ დამარცხებულა. გაზაფხულზე სტამბოლში, ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ჩელსელებს „ფენერმა" 2:1 სძლია.

ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდმა შაბათს პრემიერლიგაში „სანდერლენდს" გადაურბინა — 5:0. ნიკოლა ანელკამ ჰეთ თრიქი შეასრულა და დღესაც ძირითად შემადგენლობაში იქნება. თითო გოლი ალექსმა და ფლორან მალუდამ შეაგდეს.

„ჩელსი" და „რომა" ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე ერთმანეთს 1999-2000-ის სეზონშიც დაეჯახნენ. რომაული მატჩი უგოლოდ დასრულდა, ლონდონში კი „რომამ" 2:1 მოიგო.

დღეს ფრანჩესკო ტოტის თამაში სამკითხაოა, სტუმრებს კი ეშლი კოული, რიკარდუ კარვალიუ და მიხაელ ბალაკი დააკლდებათ.

ჯგუფის მოულოდნელი მეორეადგილოსანი „კლუჟი" „ბორდოს" დაუხვდება, რომელთანაც საფრანგეთში ავტოგოლით წააგო.

„კლუჟი" ფრანგულ კლუბებს 2005-ში ინტერტოტოზე შეხვდა. რუმინელებმა „სენტ-ეტიენთან" შინ 1:1 ითამაშეს, სტუმრად — 2:2 და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ, სადაც „ლანსს" გადაეყარნენ. აქაც საშინაო მატჩი 1:1 დაასრულეს, ლანსში კი 3:1 იწვნიეს.

„ბორდო" რუმინულ კლუბებს ორჯერ, უეფას თასზე ეთამაშა. „დინამოსთან" 1:1 გაახერხა, „უნივერსიტატეასთან" კი 0:2 წააგო.

ჩემპიონატში „კლუჟმა" პარასკევს „უნირეას" 1:0 კონეს გოლით მოუგო, ხოლო „ბორდო" ნანსიში ასეთივე ანგარიშით დამარცხდა.

აქვე ვთქვათ, რომ „კლუჟი" 6 აპრილის მერე შინ წაუგებელია. მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ეუგენ ტრიკე ვერ დაეხმარება.

„ბორდოს" ნახევარმცველი პიერ დიუკასი და მეკარე ულრიშ რამე გამოაკლდებიან.

**რომა — ჩელსი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რომა:** დონი, პანუჩი, მექსესი, ჟუანი, რიისე, ტადეი, დე როსი, პისარო, პეროტა, ვუჩინიჩი, ჟულიუ ბაპტიშტა

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა, ალექსი, ტერი, ბრიჯი, ჯო კოული, მიკელი, დეკუ, ლამპარდი, მალუდა, ანელკა

**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

**კლუჟი — ბორდო**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**კლუჟი:** სტენჩოიუ, მურეშანი, პერეირა, კადუ, დე სოუზა, კულიო, პერალტა, ე. კონე, დანი, ი. კონე, დუბარბიე

**ბორდო:** ვალვერდე, შალმე, ენრიკე, დიავარა, პლასენტე, დიარა, ტრაორე, ბელიონი, გურკუფი, ვენდელი, კავენაგი

**მსაჯი:** მასიმო ბუზაკა (შვეიცარია)

**„ისე უგუნებოდ** ვარ, რომ ჭამის მადაც კი დამეკარგა — დაიჩივლა კრისტიან პანუჩიმ, რომლის გუნდმაც ზედიზედ ხუთი მატჩი წააგო — არ ვიცი, რატომ ვიბნევით გოლის გაშვების შემდეგ და რატომ ვართ ასე პასიურები და უსუსურები".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| კლუჟი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| რომა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ბორდო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |

## B ჯგუფი

# იმალება და საშიშია
## მაურინიუს ადვოკატობა მოსწყინდა

**ანორთოსისი — ინტერი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ანორთოსისი:** ბექაი, კაცავაკისი, დელასი, კონსტანტინუ, პაულუ კოშტა, ლეოვაკაბესი, ლაბანი, დობრაშინოვიჩი, ბარდონი, სავიო, ფრუსოსი

**ინტერი:** ჟულიუ სეზარი, ბურდისო, კორდობა, მაქსველი, მაიკონი, ძანეტი, ვიეირა, მანსინი, კუარეშმა, იბრაჰიმოვიჩი, კრუსი

**მსაჯი:** ლორან დუამელი (საფრანგეთი)

**ვერდერი — პანათინაიკოსი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვერდერი:** ვიზე, პრიოდლი, მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი, ბაუმანი, იოზილი, ჰუნტი, დიეგო, როსენბერგი, პისარო

**პანათინაიკოსი:** ცორვასი, მატოსი, მელისისი, გუმასი, კლეიტონი, სალპინგიდისი, ხრისტოდულოპულოსი, გაბრიელი, ვინტრა, მანციოსი, სპიროპულოსი

**მსაჯი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

**ჟოზე მაურინიუმ** ჟულიო რიკარდო კრუსს ურჩობა აპატია და ფამაგუსტაში წაიყვანა, ადრიანო კი მილანში დატოვა.

26 ოქტომბერს „ჯენოასთან" (0:0) მატჩის მერე ადრიანომ გვარიანად მოულხინა და მეორე დღეს ვარჯიშზე დაიგვიანა.

კრუსმა კი „ჯენოასთან" მწვრთნელის დავალება არ შეასრულა.

ამის გამო მაურინიუმ ორივე დასაჯა და ჩემპიონატის ბოლო ორი მატჩი გამოატოვებინა. კრუსი შეწყალებულია, ხოლო ადრიანო, იტალიური მედიის ცნობით, სადღაც გაქრა და იმუქრება, გუნდში თუ არ დამაბრუნებთ, ბრაზილიაში წავალო.

„ანორთოსისთან" კრისტიან კივუ, ერნან კრესპო, ლუიშ ფიგუ, ნელსონ რივასი და ლუის ხიმენესი ვერ ითამაშებენ.




„ჩემზე დიდი ადვოკატი და მფარველი ადრიანოს არ ჰყოლია, მან კი ფეხებზე დამიკიდა. აქ წესი ყველასთვის ერთია და გამონაკლისებს ვერ დავუშვებ. ფეხბურთელებმა უნდა იცოდნენ, რომ გუნდურობა უმთავრესია" — თქვა პორტუგალიელმა მწვრთნელმა.

„ინტერი" „ანორთოსისს" ესტუმრება, რომელსაც ორი კვირის წინ ადრიანოს გოლით სძლია.

თემურ ქეცბაიას გუნდმა 17 მაისის მერე რვა საშინაო მატჩიდან შვიდი მოიგო და ერთი ფრე ითამაშა.

„ანორთოსისმა" პარასკევს ფრუსოსი დუბლით „კინირასი" 2:0 დაამარცხა. კვიპროსული კლუბი იტალიურს ამ სეზონამდე ოთხჯერ შეხვდა: უეფას თასზე „იუვენტუსთან" (1992-93) შინ 0:4, სტუმრად კი 1:6 წააგო. ტურინში გოლი თემურ ქეცბაიამ გაიტანა.

1995-ში ფამაგუსტელები „პალერმოს" გადაეყარნენ და კაი დღე არც მაშინ დაადგათ. ორჯერვე სიცილიელება იმარჯვეს — 2:1 და 4:0.

„ინტერს" „ანორთოსისამდე" „აპოლონთან" უეფას თასზე (1993-94) უთამაშია. შინ 1:0 მოიგო, კვიპროსში კი მეტოქეს დაუზავდა — 3:3.

„ინტერმა" ჩემპიონატში ზედიზედ ორი უგოლო ფრის შემდეგ შაბათს „რეჯინას" სტუმრად 3:2 აჯობა. გოლები მაიკონმა, პატრიკ ვიეირამ და ივან კორდობამ გაიტანეს.

„ვერდერმა" და „პანათინაიკოსმა" ორი კვირის წინ ათენში 2:2 ითამაშეს და დღეს ერთმანეთს ბრემენში შეხვდებიან, სადაც სამი წლის წინ „მუსიკოსებმა" „პანათინაიკოსი" 5:1 გაანადგურეს.

სწორედ ასეთივე ანგარიშით, „ვერდერმა" შაბათს ბუნდესლიგაში „ჰერტას" გადაუარა. კლაუდიო პისარომ დუბლი შეასრულა, დიეგომ და როსენბერგმა თითო შეაგდეს და ერთიც ჰერტელმა კაჩარმა საკუთარ კარში გაიტანა.

„პანათინაიკოსმა" ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად ბოლოს 2003-ში, „რეინჯერსთან" მოიგო. მას შემდეგ შვიდი გასვლითი მატჩიდან ხუთში დამარცხდა და ორი ფრედ დაასრულა.

ათენურ კლუბს გერმანიაში ცხრაჯერ უთამაშია. აქედან სამში იმარჯვა და დანარჩენი წააგო.

გასულ შაბათს „პანათინაიკოსმა" ჩემპიონატში „პანიონიოსს" სტუმრად 2:1 სძლია გაბრიელის და გუმასის გოლებით.

„ვერდერს" დისკვალიფიცირებული ტორსტენ ფრინგსი ვერ დაეხმარება, სტუმრებს კი პლეიმეიკერი ანდრეას ივანშიცი.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ანორთოსისი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ვერდერი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| პანათინაიკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

## C ჯგუფი

# ბაზელისგან ნიუკასლი გამოვა?

**სპორტინგი — შახტარი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სპორტინგი:** რუი პატრისიუ, პედრუ სილვა, კანეირა, პოლგა, გრიმი, როშემბაკი, ჟოაუ მოუტინიუ, იზმაილოვი, რომანიოლი, დერლეი, ლიედსონი

**შახტარი:** პიატოვი, სრნა, ჩიგრინსკი, კუჩერი, რაცი, ჰიუბშმანი, ვილიანი, ფერნანდინიუ, ჟადსონი, ძორენი, სელეზნიოვი

**მსაჯი:** ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

**ბარსელონა — ბაზელი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა:** ვალდესი, პიკე, მარკესი, პუიოლი, დანი ალვესი, ხავი, ინიესტა, ტური, ბუსკეტსი, მესი, ეტოო

**ბაზელი:** კოსტანცო, ცანი, მარკი, აბრაამი, საფარი, ჰუგელი, შტოკერი, ერგიჩი, პეროვიჩი, შტრელერი, დერდიოქი

**მსაჯი:** ალექსანდრ ტუდორი (რუმინეთი)

„**ბარსელონას**“ მერვედფინალამდე ერთი გამარჯვებაღა აკლია და ალბათ არ გაუჭირდება „ბაზელის“ დამარცხება, რომელსაც ორი კვირის წინ სტუმრად იოლად სძლია — 5:0.

ხოსეპ გვარდიოლას გუნდმა ისე მიაჩვია ქომაგები დიდი ანგარიშით მოგებას, რომ, შესაძლოა, 2:0 და 3:0-იც კი იუკადრისონ.

„ბარსა“ გასულ შაბათს მალაგას ეწვია და მასპინძლებს 4:1 დაუტოვა. ხავი ერნანდესმა დუბლი შეასრულა, ერთი მესიმ შეაგდო და ერთიც მალაგელმა საკუთარ კარში ჩაჭრა.

კატალონიელებმა ყველა ტურნირში ზედიზედ 11 თამაში მოიგეს ბურთების სხვაობით 38:8. სამნახევარი გოლი საშუალოდ მატჩში.

„ბაზელს“ ესპანეთში ხუთჯერ უთამაშია. ოთხჯერ დამარცხდა და ერთხელ ფრეს გამოჰკრა ხელი. ბოლოს პრიმერელ კლუბს 2002-ში ეწვია და ჯგუფურ ეტაპზე „ვალენსიასგან“ 2:6 იგემა.

„ბარსელონამ“ შვეიცარიულ გუნდს ერთხელ, 1968 წელს „ლუგანოს“ უმასპინძლა და 3:0 მოუგო.

სამ ტურში სამი წაგების შემდეგ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდან აქამდე მხოლოდ ბობი რობსონის „ნიუკასლი“ (2001-02) გასულა. „ნიუკასლმა“ მომდევნო სამ მატჩში ცხრა ქულა აიღო და ჯგუფიდან გაძვრა. საეჭვოა, რომ „ბაზელმაც“ იგივე მოახერხოს, რადგან საამისოდ ჯერ „კამპ ნოუზე“ უნდა იმარჯვოს, რაც შეუძლებელი არა, მაგრამ ძალიან ძნელია.

„ბარსამ“ შინ ბოლოს 11 მაისს „მალიორკასთან“ წააგო.

„ბაზელმა“ ჩემპიონატში ხუთშაბათს „სიონს“ 3:0 მოუგო პეროვიჩის, ჰუგელის და შტოკერის გოლებით.

დღეს გვარდიოლას გუნდს მცველი ერიკ აბიდალი დააკლდება, სტუმრებს კი ნახევარმცველი სკოტ ჩიპერფილდი.

მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ანდრეს ინიესტამ თქვა: „წინა სეზონში ძალიან ცუდები ვიყავით და ისე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. გვარდიოლამ ახალი სავარჯიშო მეთოდები მოიტანა, ტაქტიკაც დახვეწა და საკუთარი ძალის რწმენაც დაგვიბრუნა.

ახლა შესანიშნავად ვთამაშობთ. ორი წელია, არაფერი მოგვიგია და ჯილდოებზე დამშეულები ვართ“.

თუ დღეს „სპორტინგი“ „შახტარს“ დაამარცხებს, კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდება მერვედფინალს, რომელშიც აქამდე არასოდეს უთამაშია.

ორი კვირის წინ ლისაბონელებმა დონეცკში იმარჯვეს და ამჯერადაც მოგებას აპირებენ, თუმცა ეგაა, რომ „შახტარი“ უკვე ბოლო შვიდ გასვლით მატჩში არ დამარცხებულა.

„სპორტინგმა“ გასულ სეზონში ჯგუფურ ეტაპზე კიევის „დინამოს“ ორჯერ სძლია. „შახტარს“ კი პორტუგალიაში სამი სტუმრობიდან ერთხელ მოუგია და ორი წააგო. შარშანდელი ლიგის ჯგუფში ლისაბონში „ბენფიკას“ აჯობა — 1:0.

შაბათს „სპორტინგმა“ სტუმრად „რიუ ავეს“ ლიედსონის გოლით 1:0 მოუგო, „შახტარმა“ კი შინ „ზარია“ 3:1 დაამარცხა. მორენომ დუბლი შეასრულა და ერთიც ვილიანმა გაიტანა.



გვარდიოლას მატჩისწინა თათბირი

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 9 |
| სპორტინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| შახტარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ბაზელი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |

## D ჯგუფი

# რაფაელ ბენიტესი: ფერნანდო ტორესს ვერ შეგპირდებით

**ლივერპული — ატლეტიკო**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი, აგერი, დოსენა, ხაბი ალონსო, მასკერანო, ჯერარდი, ბაბელი, კუიტი, კინი

**ატლეტიკო:** ფრანკო, ანტონიო ლოპესი, პერეა, პერნია, მაქსი როდრიგესი, პაულუ ასუნსაუ, მანიშე, სიმაუ, ფორლანი, აგუერო (ან სინამა-პონგოლი)

**მსაჯი:** მარტინ ჰანსონი (შვედეთი)

**მარსელი — პსვ**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მარსელი:** მანდანდა, ტაივო, ჰილტონი, ბონარი, ზიანი, კანა? შეირუ, ბენ არფა, მბამი, ვალბუენა, კონე

**პსვ:** ისაკსონი, ადი, კრომკამპი, მარსელისი, სალსიდო, აფელაი, ბაკალი, კულინა, მენდესი, სიმონსი, კუვერმანსი

**მსაჯი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)

**ფერნანდო ტორესმა** ორი კვირის წინ მადრიდში ტრავმის გამო „ატლეტიკოსთან“ ვერ ითამაშა და შესაძლოა, დღეს გამოჩნდეს მოედანზე ყოფილი გუნდის წინააღმდეგ.

უტორესოდ „ლივერპულმა“ „უიგანსაც“ მოუგო, „ჩელსისაც“ და „პორტსმუთსაც“, მაგრამ შაბათს „ტოტენჰემთან“ წაგებულ მატჩში ესპანელი მეგოლე აშკარად აკლდა.

„ელ ნინიომ“ ტრავმა მოიშუშა, მაგრამ რაფაელ ბენიტესმა თქვა, „ატლეტიკოსთან“ ძირითად შემადგენლობაში მის დაყენებას ვერ გავრისკავ და ალბათ სათადარიგოებში დავტოვებო.

ამ გუნდების მადრიდული მატჩი 1:1 დასრულდა.

„ლივერპული“ შინ ბოლოს ამ წლის თებერვალში „ბარნსლისთან“ ასოციაციის თასზე დამარცხდა, მაგრამ ევროთასებზე ესპანურ კლუბებთან სიყოჩაღით ვერ დაიტრაბახებს.

პრიმერადივიზიონელებმა „ენფილდზე“ 11 მატჩიდან ორი წააგეს, ხუთი მოიგეს და ოთხი ფრედ დაასრულეს. აქედან ექვს შეხვედრაში „ლივერპულმა“ გოლი ვერ გაიტანა.

„ენფილდის“ ბოლო ესპანელი სტუმარი „ბარსელონა“ იყო 2007-ში და ეიდურ გუდიონსენის გოლით 1:0 მოიგო.

ინგლისში „ატლეტიკოს“ სტუმრობის სტატისტიკა ასეთია: ერთი მოგება, სამი ფრე და ორი მარცხი.

მადრიდელებმა ჩემპიონატში შაბათს შინ „მალიორკას“ სერხიო აგუეროს დუბლით 2:0 მოუგეს.

„ატლეტიკოს“ მეკარე გრეგორი კუპე გამოუკეთდა, მაგრამ ტომაშ უიფალუში და იურკას სეიტარიდისი კვლავ დაშავებულნი არიან.

სიმაუ საბროსამ სამი წლის წინ, „ბენფიკაში“ თამაშისას „ენფილდზე“ „ლივერპულს“ ბრწყინვალე გოლი გაუტანა — საჯარიმოს გარედან რეინას ცხრიანში ჩაუხვია. „ფანტასტიკური თამაში და გიჟური გოლი იყო, რომელიც არასოდეს დამავიწყდება“ — გაიხსენა პორტუგალიელმა.

სამივე თამაშის წამგები და ბოლოადგილოსანი „მარსელი“ პსვ-ს უმასპინძლებს, რომელთანაც ეინდჰოვენში 0:2 დამარცხდა.

პსვ-ს საფრანგეთში თოთხმეტჯერ უთამაშია: ორი მოიგო, ექვსი ფრედ დაასრულა და ამდენჯერვე დამარცხდა, თუმცა ბოლო შვიდიდან მხოლოდ ერთი წააგო.

„მარსელი“ ჰოლანდიური კლუბებისგან დაჩაგრულია. რვა შეხვედრიდან ორში იმარჯვა, ერთი ფრე გააზერხა და ხუთჯერ მეტოქემ აჯობა.

შაბათს „მარსელმა“ ჩემპიონატში შეირუს, ბენ არფას და ტაივოს გოლებით „სენტ-ეტიენს“ 3:1 სძლია, ხოლო პსვ-მ „ტილბურგი“ 2:0 დაამარცხა. სვინკენსმა საკუთარ კარში გაიტანა და მეორე დანი კუვერმანსმა მიაყოლა.



ფერნანდო ტორესი (მარცხნივ) „ატლეტიკოსთან“ მატჩში თადარიგში იქნება

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| პსვ | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| მარსელი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

# კარგი მწვრთნელი პომიდვრიდან იწყებს



ჰარი რედნაპი

**როგორც** ირკვევა, დამნაშავე დიმიტარ ბერბატოვი ყოფილა: „ტოტენჰემ ჰოთსპურში" ფეხბურთელების უკმაყოფილება ნამდვილ აჯანყებად მან აქცია და საბოლოოდ, ხუანდე რამოსის თანამდებობიდან წასვლაც გამოიწვიაო. და იცით, საზოგადოებას ვინ უამბო ეს ყველაფერი? არც მეტი, არც ნაკლები, „სფურზის" თავმჯდომარემ დენიელ ლივიმ. სწორედ მან ბრძანა, რომ ლონდონში ყოფნისას ბულგარელი გაიფიცა და კლუბისადმი მინიმალური პატივისცემაც არ გამოამჟღავნა. საკვირაო The News Of The World წერს, რომ ახლა უკვე ეჭვს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ „სფურზის" სხვა ფეხბურთელები რამოსის წინააღმდეგ სწორედ ბერბატოვის მაშინდელმა ქცევამ შეაგულიანა.

ერთი ხნის წინ, ფაქტის, ანუ რვა თამაშიდან ორი ქულის წინაშე დამდგარმა ლივიმ გასაკეთებელი გააკეთა, რამოსი მწვრთნელის თანამდებობიდან გაუშვა, მაგრამ სინდისი არ დაუკარგავს და სათქმელიც თქვა — ესპანელი მწვრთნელი თავმჯდომარეს ფეხბურთელებმა გააგდებინეს. ლივიმ აღიარა:

„თანამედროვე ფეხბურთის სინამდვილე ისაა, რომ ძალაუფლებას მოთამაშეები ფლობენ. თუ ისინი პირს შეკრავენ და ამა თუ იმ კაცის თავიდან მოშორებას გადაწყვეტენ, თუნდაც სხვისი ხელით, მაგრამ ეს მოხდება. ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს შორის ძველებური პატივისცემა აღარ არსებობს".

ზემოხსენებულმა The News Of The World-მა შეიტყო, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურის" მოთამაშეები რამოსის საწვრთნელ მეთოდებს პირდაპირ ვარჯიშზე აყენებდნენ ეჭვქვეშ. ისინი არც ასისტენტ მწვრთნელ გუსტავო პოიეტსა და კლუბის სხვა თანამშრომლებს ერიდებოდნენ და ამ ყველაფერს წინ ბერბატოვის გამოხდომები უძღოდა — მოგეხსენებათ, ბულგარელმა მაინც აიძულა გულის (ან ჯიბის) წადილი და ლონდონიდან „მანჩესტერ იუნაიტედში" გაიქცა.

ლივი განმარტავს: „დიმიტარ ბერბატოვის სახით ჩვენ გვყავდა კაცი, რომელმაც ამ სეზონში პრემიერლიგის პირველ და მეორე ტურში არ ითამაშა. მას გასახდელზე დიდი გავლენა ჰქონდა, კლუბს კი ჯეროვანი პატივისცემით არ ეპყრობოდა. არადა, როდესაც თავის დროზე „მანჩესტერ იუნაიტედს" ვაჭრობაში ვაჯობეთ და ბულგარელი ლევერკუზენის „ბაიერიდან" გადმოვიყვანეთ, ის არავინ იყო და, შესაბამისად, მაიმცდამაინც „მანჩესტერში" თამაშის ამბიცია არ ჰქონდა. რასაკვირველია, ის საუცხოო თავდამსხმელია, მაგრამ სახელის განთქმაში სწორედ ჩვენ, „ტოტენჰემ ჰოთსპური" დავეხმარეთ".

ხუანდე რამოსის სამწუხაროდ, ბერბატოვის ცხვირჩამოშვებულობა და თავხედობა მთელ გუნდს ვირუსივით გადაედო და სეზონს პირველივე ტურიდან ტონი მისცა. ამის ნათელი მაგალითი დევიდ ბენტლის ყოყოჩობა გახლდათ, როდესაც მან მწვრთნელს სტილი დაუწუნა და ლივიც მიხვდა, რომ რამე უნდა ელონა. ასე დიდხანს ველარ გაგრძელდებოდა.

ლივიმ რამოსის მოხსნა გადაწყვიტა.

„ცუდ სიტუაციაში ვიყავით. ყველაფერი ერთი კაცის, ამ შემთხვევაში მწვრთნელის ბრალი, უბრალოდ, ვერ იქნებოდა, მაგრამ იმ მომენტისთვის უკვე რვა ტური გვქონდა ნათამაშები და აშკარად რაღაც უნდა გველონა. გარდა ამისა, საჭირო იყო მიზეზის გარკვევა. რატომ ვიყავით ასეთ მძიმე დღეში? იქნებ მაინც მწვრთნელმა ვერ შეძლო ფეხბურთელებისგან მაქსიმუმის გამოწურვა ან, იქნებ პირიქით, მწვრთნელი სწორად იქცეოდა, ფეხბურთელები კი დავალებებს არ უსრულებდნენ? არ ვიცი, დაბეჯითებით საუბარი ძნელია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მწვრთნელის უშუალო საქმე სწორედ რომ ფეხბურთელების ათამაშება და მათგან მაქსიმუმის გამოწურვაა".

ახლა კი, „ტოტენჰემ ჰოთსპურის" სათავეში ჰარი რედნაპი უდგას და ლივი დარწმუნებულია, რომ მასზე უკეთესს ვერავის დანიშნავდა. რამოსის ფონზე ინგლისელმა რედნაპმა ფეხბურთელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

„სფურზის" მავანმა თანამშრომელმა პატივცემულ გამოცემას უამბო: „ჰარი ძირითადი გუნდის უკლებლივ ყველა ფეხბურთელს პირადად ელაპარაკა. მისი ეს ნაბიჯი ფეხბურთელებმა კარგად მიიღეს, რადგან მიაჩნდათ, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურის" მთავარი პრობლემა ერთმანეთისგან ჩაკეტილობა იყო. რამოსის და მისი ამალის დუმილს ისინი მზარდი უკმაყოფილებით პასუხობდნენ".

დიახ, პირველი, რაც რედნაპმა გააკეთა, ფეხბურთელების კეთილგანწყობის მოპოვება იყო და იცით, ინდივიდუალურ საუბრებამდე თუ მაღალ მატერიებში გადასვლამდე, როგორ მოახერხა ეს? საკლუბო სასადილოს მენიუში პომიდვრის კეტჩუპი დააბრუნა... ის მიუბრუნდა ფეხბურთელებს და უთხრა:

„კეთილი, ბიჭებო, გავიგე, რომ ბოლო დროს ცოტა მოგშივნიათ, ჰოდა, მიირთვით".

კიდევ, რედნაპმა, აი, რა მოიფიქრა: მართალია, მის განკარგულებაში მხოლოდ 3 მილიონი გირვანქაა, მაგრამ ამ თანხიდან პრემიებზე გვარიანი ნაწილი დაიხარჯება, თუ...

პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ფეხბურთელები დაახლოებით მილიონს გაინაწილებენ. გარდა ამისა, თუ „ტოტენჰემ ჰოთსპური" „კარლინგის თასს" მოიპოვებს, საპრემიო თანხას 250 ათასი გირვანქა დაემატება, ხოლო ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის მოგებისთვის დამატებითი ნახევარი მილიონიც იქნება. ხოლო, თუ მოხდა სასწაული და „სფურზმა" ჩემპიონთა ლიგაში გააღწია, ზემოდან კიდევ ნახევარი მილიონი წამოვა.

ლივიმ განაგრძო: „ჩემპიონთა ლიგა, რასაკვირველია, ის არის, რასაც ჩვენი კლუბი შენატრის და რისკენაც მივისწრაფვით, თუმცა პრემიერლიგის დიდ ოთხეულში შეღწევა უძნელესი საქმეა. ისე, იმედი მაქვს, რომ ჰარი ჩვენთან დიდხანს დარჩება და ადრე თუ გვიან, ამ მიზანსაც ავისრულებთ. დარწმუნებული გახლავართ, რომ ჰარის სახით სწორედ ის მწვრთნელი გვყავს, ვინც გვჭირდებოდა. ახლა ფეხბურთელებმა კლუბს და ფანებს უნდა აჩვენონ, სინამდვილეში რისი მაქნისები არიან. იქნებ პრემიერლიგის დიდი ოთხეული დიდ ხუთეულად გარდავქმნათ".

ჩრდილოლონდონური კლუბი ოპტიმიზმით რომ არის სავსე, იმაზეც ეტყობა, რომ გასულ კვირას ახალი, 60-ათასიანი სტადიონის აშენების სურვილი და გეგმა გამოაცხადა. კიდევ, ბოლო პერიოდში ჭორაობდნენ, თითქოს „ტოტენჰემს" მავანი მილიარდერი მყიდველი თუ მყიდველები გამოუჩნდა, მაგრამ ლივიმ ეს ჭორები უარყო და დაბეჯითებით განაცხადა, რომ ის არ იყიდება.

„მე მებრძოლი გახლავართ. იოლად არ ვნებდები" — დაგვირგვინა ლივიმ.

**პაპუნა ძიძია**

## საბერძნეთი

სუპერლიგა. VIII ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 8 | 6 | 1 | 1 | 14:3 | 19 |
| ქსანთი | 8 | 5 | 2 | 1 | 7:2 | 17 |
| პაოკ | 8 | 4 | 4 | 0 | 9:3 | 16 |
| პანათინაიკოსი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:6 | 14 |
| აეკ | 8 | 3 | 4 | 1 | 12:11 | 13 |
| ლარისა | 8 | 3 | 3 | 2 | 12:8 | 12 |
| პანიონიოსი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:10 | 11 |
| არისი | 8 | 3 | 1 | 4 | 6:8 | 10 |
| პანთრაკიკოსი | 8 | 3 | 1 | 4 | 5:9 | 10 |
| ერგოტელისი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:9 | 9 |
| ლევადიაკოსი | 8 | 2 | 3 | 3 | 4:8 | 9 |
| პანსერაიკოსი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:11 | 8 |
| ტრიპოლისი | 8 | 1 | 4 | 3 | 6:8 | 7 |
| ირაკლისი | 8 | 0 | 5 | 3 | 5:8 | 5 |
| ოფი | 8 | 0 | 4 | 4 | 8:15 | 4 |
| ფილისი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:13 | 4 |

## პოლონეთი

I ლიგა. XI ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონია | 10 | 6 | 3 | 1 | 19:7 | 21 |
| ლეგია | 10 | 6 | 3 | 1 | 17:6 | 21 |
| ვისლა | 10 | 6 | 2 | 2 | 17:9 | 20 |
| ლეხი | 10 | 5 | 2 | 3 | 18:9 | 17 |
| სლასკი | 10 | 4 | 5 | 1 | 16:12 | 17 |
| ბელხატუვი | 10 | 5 | 1 | 4 | 12:11 | 16 |
| რუხი | 10 | 4 | 3 | 3 | 8:9 | 15 |
| გდანსკი | 10 | 4 | 2 | 4 | 10:11 | 14 |
| ბიტომი | 10 | 4 | 1 | 5 | 14:16 | 13 |
| არკა | 10 | 4 | 1 | 5 | 12:15 | 13 |
| ოდრა | 10 | 3 | 3 | 4 | 11:13 | 12 |
| იაგელონია | 10 | 2 | 4 | 4 | 8:12 | 10 |
| პიასტი | 10 | 2 | 2 | 6 | 6:12 | 8 |
| გურნიკი | 10 | 2 | 2 | 6 | 5:13 | 8 |
| ლოძი | 10 | 2 | 2 | 6 | 5:15 | 8 |
| კრაკოვია | 10 | 1 | 4 | 5 | 5:13 | 7 |

## თურქეთი

სუპერლიგა. IX ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრაბზონი | 9 | 6 | 2 | 1 | 16:9 | 20 |
| ანკარა | 9 | 6 | 1 | 2 | 16:7 | 19 |
| სივა | 9 | 5 | 3 | 1 | 16:8 | 18 |
| ბეშიქთაში | 9 | 5 | 3 | 1 | 15:7 | 18 |
| გალათასარაი | 9 | 5 | 2 | 2 | 22:11 | 17 |
| ქაისერი | 9 | 5 | 2 | 2 | 11:5 | 17 |
| ბურსა | 9 | 5 | 0 | 4 | 14:15 | 15 |
| გაზიანთეფი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:12 | 14 |
| ფენერბაჰჩე | 9 | 4 | 1 | 4 | 18:15 | 13 |
| ესქიზეჰირი | 9 | 3 | 4 | 2 | 13:12 | 13 |
| ქონია | 9 | 4 | 1 | 4 | 12:15 | 13 |
| გენჩლერი | 9 | 2 | 3 | 4 | 11:15 | 9 |
| ისთანბული | 9 | 2 | 3 | 4 | 7:13 | 9 |
| დენიზლი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:17 | 8 |
| ჰაჩეტეპე | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | 8 |
| ანკარაგიუჯიუ | 9 | 1 | 3 | 5 | 8:16 | 6 |
| ანთალია | 9 | 1 | 2 | 6 | 12:19 | 5 |
| ქოჯაელი | 9 | 0 | 2 | 7 | 8:21 | 2 |

## ავსტრია

ბუნდესლიგა. XV ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 15 | 10 | 3 | 2 | 38:18 | 33 |
| შტურმი | 14 | 9 | 2 | 3 | 35:18 | 29 |
| აუსტრია | 15 | 8 | 4 | 3 | 23:16 | 28 |
| რაპიდი | 12 | 7 | 2 | 3 | 25:13 | 23 |
| რიდი | 15 | 6 | 4 | 5 | 20:16 | 22 |
| კერნტენი | 14 | 6 | 3 | 5 | 19:12 | 21 |
| ლინცერი | 15 | 7 | 0 | 8 | 20:26 | 21 |
| მატერსბურგი | 15 | 3 | 2 | 10 | 18:34 | 11 |
| კაპფენბერგი | 14 | 2 | 3 | 9 | 15:33 | 9 |
| ალტახი | 15 | 2 | 1 | 12 | 15:42 | 7 |

## არგენტინა

კლაუსურა. XII ტური

რასინგი — ველესი 0:0; ხიმნასია ხ — ბანფილდი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ლორენსო | 12 | 8 | 1 | 3 | 18:7 | 25 |
| ბოკა ხუნიორსი | 12 | 7 | 2 | 3 | 22:14 | 23 |
| ტიგრე | 12 | 7 | 2 | 3 | 18:11 | 23 |
| ნიუელსი | 12 | 6 | 4 | 2 | 16:9 | 22 |
| ლანუსი | 12 | 6 | 3 | 3 | 23:18 | 21 |
| სან მარტინი | 12 | 4 | 5 | 3 | 12:9 | 17 |
| არსენალი | 12 | 5 | 2 | 5 | 18:20 | 17 |
| ველესი | 12 | 4 | 5 | 3 | 15:17 | 17 |
| რასინგი | 12 | 4 | 4 | 4 | 13:12 | 16 |
| ხიმნასია ხ | 12 | 5 | 1 | 6 | 16:22 | 16 |
| კოლონი | 12 | 3 | 6 | 3 | 18:16 | 15 |
| ესტუდიანტესი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:16 | 15 |
| ინდეპენდიენტე | 11 | 3 | 5 | 3 | 10:11 | 14 |
| ხიმნასია ლპ | 12 | 3 | 5 | 4 | 10:12 | 14 |
| არგ. ხუნიორსი | 12 | 3 | 5 | 4 | 13:16 | 14 |
| ბანფილდი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:15 | 14 |
| ურაკანი | 12 | 3 | 3 | 6 | 8:17 | 12 |
| გოდოი | 11 | 3 | 2 | 6 | 16:19 | 11 |
| რივერ პლეიტი | 12 | 1 | 5 | 6 | 11:17 | 8 |
| როსარიო | 12 | 2 | 2 | 8 | 11:18 | 8 |

## შვეიცარია

სუპერლიგა. XIII ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 13 | 10 | 1 | 2 | 29:12 | 31 |
| ციურიხი | 13 | 9 | 2 | 2 | 34:14 | 29 |
| გრასჰოპერი | 13 | 5 | 7 | 1 | 22:12 | 22 |
| აარაუ | 12 | 5 | 5 | 2 | 17:18 | 20 |
| იანგ ბოისი | 13 | 5 | 4 | 4 | 23:17 | 19 |
| ქსამაქსი | 12 | 3 | 5 | 4 | 18:21 | 14 |
| სიონი | 13 | 3 | 4 | 6 | 14:26 | 13 |
| ვადუცი | 13 | 2 | 5 | 6 | 8:26 | 11 |
| ბელინცონა | 13 | 1 | 5 | 7 | 14:23 | 8 |
| ლუცერნი | 13 | 1 | 2 | 10 | 7:22 | 5 |

## უკრაინა

ვიშა ლიგა. XIII ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 13 | 11 | 1 | 1 | 35:6 | 34 |
| მეტალურგი დ | 13 | 8 | 2 | 3 | 17:8 | 26 |
| მეტალისტი | 13 | 7 | 4 | 2 | 20:9 | 25 |
| ვორსკლა | 13 | 6 | 5 | 2 | 14:9 | 23 |
| მეტალურგი ზ | 13 | 6 | 5 | 2 | 13:9 | 23 |
| დნიპრო | 13 | 5 | 5 | 3 | 11:9 | 20 |
| შახტარი | 13 | 4 | 7 | 2 | 19:12 | 19 |
| ზარია | 13 | 4 | 5 | 4 | 14:19 | 17 |
| ჩერნომორეცი | 13 | 4 | 2 | 7 | 13:17 | 14 |
| კრივბასი | 13 | 3 | 5 | 5 | 12:17 | 14 |
| არსენალი | 13 | 2 | 6 | 5 | 9:14 | 12 |
| კარპატი | 13 | 2 | 6 | 5 | 8:15 | 12 |
| ილიჩევეცი | 13 | 3 | 2 | 8 | 8:19 | 11 |
| ტავრია | 13 | 2 | 4 | 7 | 15:25 | 10 |
| ლვოვი | 13 | 2 | 3 | 8 | 7:17 | 9 |
| ხარკოვი | 13 | 0 | 8 | 5 | 8:18 | 8 |

## სლოვაკეთი

I ლიგა. XIV ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვანი | 14 | 9 | 3 | 2 | 29:11 | 30 |
| ჟილინა | 13 | 8 | 3 | 2 | 25:7 | 27 |
| ტრნავა | 14 | 7 | 5 | 2 | 19:10 | 26 |
| კოშიცე | 14 | 7 | 4 | 3 | 22:18 | 25 |
| რუჟომბეროკი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:14 | 20 |
| ტატრანი | 14 | 6 | 2 | 6 | 17:25 | 20 |
| სტრედა | 14 | 5 | 4 | 5 | 17:18 | 19 |
| დუბნიცა | 14 | 4 | 2 | 8 | 19:23 | 14 |
| ნიტრა | 14 | 4 | 2 | 8 | 13:27 | 14 |
| არტმედია | 14 | 3 | 4 | 7 | 16:21 | 13 |
| ბანსკა ბისტრიცა | 13 | 2 | 4 | 7 | 7:14 | 10 |
| ზლატე მორავცე | 14 | 2 | 4 | 8 | 6:20 | 10 |

## ხორვატია

NHL. XIII ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 12 | 8 | 2 | 2 | 25:13 | 26 |
| სლავენი | 13 | 7 | 3 | 3 | 20:14 | 24 |
| ჰაიდუკი | 13 | 7 | 2 | 4 | 18:14 | 23 |
| შიბენიკი | 13 | 5 | 4 | 4 | 16:13 | 19 |
| ოსიეკი | 13 | 5 | 3 | 5 | 21:19 | 18 |
| ზაგრები | 13 | 4 | 6 | 3 | 14:14 | 18 |
| ვარტეკსი | 13 | 5 | 2 | 6 | 19:20 | 17 |
| რიეკა | 12 | 4 | 4 | 4 | 16:14 | 16 |
| სესვეტე | 13 | 4 | 4 | 5 | 15:17 | 16 |
| ციბალია | 13 | 4 | 2 | 7 | 11:23 | 14 |
| ინტერი | 13 | 2 | 5 | 6 | 21:26 | 11 |
| ზადარი | 13 | 2 | 3 | 8 | 10:19 | 9 |

## მექსიკა

კლაუსურა. XIV ტური

ტეკოსი — ამერიკა 1:3; ჩივასი — პუმასი 1:1; ინდიოსი — პუებლა 1:0; ნეკაქსა — სან ლუისი 1:1; კრუს ასული — პაჩუკა 1:2; მონტერეი — ატლანტე 2:1; ტოლუკა — ატლასი 4:0; სანტოსი — ტიგრესი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ლუისი | 15 | 8 | 4 | 3 | 22:17 | 28 |
| ატლანტე | 14 | 7 | 4 | 3 | 19:11 | 25 |
| ტიგრესი | 14 | 6 | 5 | 3 | 19:11 | 23 |
| ჩივასი | 15 | 5 | 7 | 3 | 20:21 | 22 |
| ტოლუკა | 15 | 5 | 6 | 4 | 23:16 | 21 |
| მორელია | 14 | 5 | 6 | 3 | 20:14 | 21 |
| ტეკოსი | 13 | 6 | 3 | 4 | 24:20 | 21 |
| პუმასი | 14 | 5 | 5 | 4 | 16:12 | 20 |
| კრუს ასული | 14 | 5 | 5 | 4 | 22:20 | 20 |
| სანტოსი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:18 | 20 |
| პაჩუკა | 14 | 5 | 4 | 5 | 21:20 | 19 |
| ამერიკა | 15 | 4 | 6 | 5 | 21:21 | 18 |
| ატლასი | 15 | 5 | 3 | 7 | 20:25 | 18 |
| მონტერეი | 15 | 4 | 4 | 7 | 17:25 | 16 |
| ხაგუარესი | 13 | 4 | 3 | 6 | 15:21 | 15 |
| ინდიოსი | 15 | 4 | 3 | 8 | 14:24 | 15 |
| პუებლა | 15 | 1 | 9 | 5 | 10:17 | 12 |
| ნეკაქსა | 15 | 1 | 8 | 6 | 14:24 | 11 |

ცოცხალიზაცთოიი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

— ეგ ბიჭა, ეტყობა, სტამბოლში ჩაის და ფაჰლავას სერიოზულად ჩაუჯდა. მაგარი დაუმუღამა და სუ ფეხებზე არა ჰკიდია, მე რო „ფენერბაჰჩეს" ორიანი ათას დოლარში მეწერა „ესქიშეჰირთან"?

სასტავი ორჯერ იგებდა, თან პახოდუ „ესქიშეჰირს" კაცი გაუძევეს. მეთქი, სუდიაც ჩვენებურია, მაგას ვენაცვალე სასტვენში.

მამენტ, ისიც ვიფიქრე, თუ მოვიგე, სტამბოლში ჩავალ, მაგ სუდიას ვიპოვი და კაი ოცლიტრიანს ჩავახუტებ. მარა აქეთ არ ჩამახუტა არაგონესმა ეს წაგებული ბილეთი?

— არაგონესი რამ ჩაგაწერინა, ტო! როჟა იმენა შვილიშვილებს უნდა დასდევდეს, ეგ კიდე რობერტო კარლოსს დასდევს და ფუტბოლს ასწავლის.

ცვეტში იმიტო ჩაათრიეს ეგ პენსიონერი „ფენერში", რო მაგის თამაშები დაგრუზულიყო და ეყომარათ.

იცი, რა მაყუთებია გამაზული „ფენერბაჰჩეს" ჩემპიონობაზე? აბა, ცხრილში ჩაიხედე, ტო! ჩემპიონობა არა, ფაჰლავა! გუნდი ვარდება, აზრზე ხარ? ხალხი კიდე წერს და წერს ამ „ფენერის" მოგებას.

— პროსტაამც, ნიჩია რა პონტია, ვერ გავიგე, რა!

გუნდი რო ჯერ აძინ ნოლს და მერე დვა აძინს იგებს, რატო უნდა გაუშვას გოლი ათი კაცისგან და დვა დვა რატო უნდა ითამაშოს, ძმაო, რატო?!

ათ კაცს რო კიდე გაუტანონ, კიდე მოსული პონტია, მარა ნააბაროტ?

— ეგრეა, ტო! პროცესს გეთამაშებიან, ბიჭო, პროცესს. კაცი რო გაუგდეს და ლაივსკორში „ესქიშეჰირს" წითელი აენთო, ეგ წითელია, შენნაირ პრაფესორებს რო აბოლებს.

მაგ დროს მაყუთები შედის „ფენერის" გოლის გატანაზე და ამ დროს რა ხდება? მოწვი? ბრახ და „ფენერს" შეუგდეს. ფულები ტოტალიზატორს დარჩა, არაგონესი ჩაის ყლურწავს, შენ კიდე ლარიანიც აღარ დაგრჩა.

— ისე, დღეს მართლა აღარა მაქ ფული და ნისიად ბილეთს არ დამაწერინებენ?

— არა მგონია, ტო!

— რატო, მაგის კუში რო დავხიე, მარადონა თუ ჩამოვიდა ნისიად სათამაშოდ, მე ერთლარიან ბილეთზე არ მენდობიან?

— რისი დაწერა გინდა, რამე უეჭველი თუ იცი, მეც ჩამაწოდე, ტო.

— მაგარი „კლუჟი" ვარ „ბორდოსთან".

— რა პონტში?

— ოჯახის გუნდია, რა! სახლში კაცურად თამაშობს. „ჩელსის" ნიჩია გაუგორა და „ბორდოს" ბურთს არ გადააფშნის, რამე რო იყოს?

— აი, ხო ხედავ, რო ფუტბოლი არ იცი, ტო! „ჩელსისთან" ნიჩია გაკეთებული იყო, იმიტო რო ორიანში მიიგრუზა, ეხლა კიდე ერთიანში ჩაიტვირთება, არადა ამ დროს ცვეტში „ბორდო" იგებს, გაიგე?

ქუში ქომბარია

ჩემი ბილეთი:
001 „არსენალი"- „ფენერბაჰჩე"
შედეგი: ჩაის ჯანწი
სავარაუდო მოგება: მოგზაურობა ფაჰლავის გარშემო
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, მართლა წერია
თუ არა მარადონას ნისიების დავთარში საქართველო.

114140 *

# ბოლონიაში ცვლილებაა

„ბოლონიამ" თანამდებობიდან მწვრთნელი დანიელე არიგონი გაუშვა. კლუბის ხელმძღვანელებს მოთმინების ფიალა „კალიარისთან" 1:5 დამარცხებამ აუვსო. ამ დამარცხების შემდეგ „როსობლუ" სერია A- ს ფსკერს ერთადერთი ქულითღა ცდება, რამაც მწვრთნელის შეცვლის აუცილებლობა წამოჭრა.

არიგონი ის კაცია, ვინც ბოლონიელები სერია A-დან უმაღლეს კატეგორიაში ამაღლა, მაგრამ იქ პრობლემების წინაშე დადგა.

იტალიაში გავრცელებულ ხმათა თანახმად, არიგონის ადგილს „სამპდორიას", „ლაციოსა" და „ინტერის" ყოფილი ვარსკვლავი სერბი სინიშა მიხაილოვიჩი დაიკავებს. მიხაილოვიჩი სამი წლის განმავლობაში „ინტერში" რობერტო მანჩინის ასისტენტად მუშაობდა.

რაც შეეხება თავად მიხაილოვიჩის ასისტენტს, ასეთად „ბოლონიას" რენატო ვილა ან ჯანლუკა პალიუკა ჰყავს შეგულებული. თუ სერბთან ხელშეკრულება ვერ დაიდება, მაშინ „როსობლუს" საჭეს ჯუზეპე პაპადოპულოს ჩააბარებენ. პაპადოპულო ბოლოს „ლეჩეში" იყო და ეს გუნდი სერია A-ში დააბრუნა.

ბაჩუნა ძიძია



სინიშა მიხაილოვიჩი

## შილბლო, ჰარგრივზი

„მანჩესტერ იუნაიტედის" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივზი ნახევარი წლით მწყობრიდან გამოვიდა. თავდაპირველად ექიმები მისი ტრავმის მორჩენას კონსერვატიული საშუალებებით ცდილობდნენ, თუმცა საბოლოოდ იძულებულნი გახდნენ, ეღიარებინათ, რომ ოუენს ოპერაცია დაჭირდება. რა თქმა უნდა, მოვლენების ასეთი განვითარების შემდეგ ინგლისში კვლავ ალაპარაკდნენ, რომ ჰარგრივზს იანვარში „ოლდ ტრეფორდის" დატოვება მოუწევს.

## ლეომ აურია

ესპანური „ბარსელონას" და არგენტინის ნაკრების ვარსკვლავ ლიონელ მესის დისკვალიფიკაცია ემუქრება. 21 წლის ფეხბურთელმა „მალაგასთან" პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში არასაკადრისი საქციელი ჩაიდინა. „ლა როსალედაზე" გამართულ შეხვედრაში ლეომ ერთ-ერთი შეტაკების შემდეგ მასპინძელთა ფეხბურთელ დუდას შეაფურთხა, თან ეს მას შემდეგ გააკეთა, რაც მეტოქე მისკენ ზურგით შეტრიალდა.

## პეპემ ბარძაყი იტკინა

მადრიდის „რეალის" მცველმა პეპემ „ალმერიასთან" კვირას გამართულ შეხვედრაში მარცხენა ბარძაყი დაიზიანა. ტრავმის მიზეზი არასწორად შესრულებული ვარდნა გამოდგა, რის შემდეგაც, მატჩის 47-ე წუთზე, პორტუგალიელი კრისტოფ მეცელდერმა შეცვალა. რამდენ ხანში დაუბრუნდება მოედანს პეპე, ჯერჯერობით უცნობია.

## ჰალიდ ბულარუზი პარტიზანს გამოტოვებს

გერმანული „შტუტგარტის" მცველი ჰალიდ ბულარუზი ხუთშაბათს სერბულ „პარტიზანთან" უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მატჩს გამოტოვებს. მიზეზად ბარძაყის ტრავმა სახელდება, რომელიც 26 წლის ჰოლანდიელმა „კიოლნთან" ბუნდესლიგის საშინაო შეხვედრაში მიიღო. ბულარუზს ის კუნთი გაუწყდა, რომელიც სექტემბერში ჰქონდა დაზიანებული. სავარაუდოდ, რეაბილიტაციას ორი კვირა დასჭირდება.

## კელტები ნაკამურას ვერ ელევიან

გლაზგოს „სელტიკის" ნახევარმცველი შუნსუკე ნაკამურა „სელტიკ პარკზე" მომავალ სეზონშიც დარჩება. „ფეხბურთელების ხარჯზე ფულის შოვნას არ ვაპირებთ. პირიქით, იანვარში გაძლიერებას ვგეგმავთ, რადგან კვლავ ჩემპიონობა გვსურს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაკამურა გუნდში რჩება" — განაცხადა „კელტების" აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ ლოუელმა. აქვე აღვნიშნოთ, რომ სეზონის დაწყების წინ იაპონელი ფეხბურთელი შოტლანდიიდან წასვლაზე საუბრობდა, რადგან ოჯახთან ახლოს ყოფნა სურდა. რაც შეეხება კონტრაქტს, ნაკამურას „სელტიკთან" ხელშეკრულება სეზონის ბოლომდე აკავშირებს.

## ბენიტესი დოსენას უშვებს?

ინგლისური „ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი ანდრეა დოსენასთან განშორებას აპირებს. ესპანელი სპეციალისტი იტალიელი მცველის ფიზიკური ფორმით არის შეშფოთებული. ასე რომ, დიდი ალბათობაა, 27 წლის ფეხბურთელმა იანვარში „ენფილდი" დატოვოს.

## უკმაყოფილო ონუოჰა

„მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელი ნედუმ ონუოჰა „ბლექბერნ როვერსის" ინტერესთა სფეროში მოხვდა. ნიგერიული წარმოშობის ინგლისელი მცველი „ქალაქელთა" რიგებში თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა, რადგან ამ სეზონში მოედანზე მხოლოდ სამჯერ გამოჩნდა. „ვარდების" გარდა ონუოჰას პერსონით „ბირმინგემ სიტიც" არის დაინტერესებული.

## იუვე ანდრადეს ვერ იშორებს

ტურინის „იუვენტუსის" მცველი ჟორჟე ანდრადე „ბებერ ქალბატონთან" კონტრაქტის გაწყვეტაზე არ თანხმდება. პორტუგალიელი ფეხბურთელი ტურინელთა რიგებში ლა კორუნიის „დეპორტივოდან" 2007 წელს გადავიდა და იმავე წლის 23 სექტემბერს „რომასთან" შეხვედრაში სერიოზული ტრავმა მიიღო. 2008 წლის ივლისში ანდრადემ მოედანზე დაბრუნება სცადა, თუმცა ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. „ბიანკონერის" ხელმძღვანელობას ფეხბურთელისთვის ივლისის შემდეგ ხელფასი არ მიუცია და კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის გამოყოფას აპირებს, მაგრამ ანდრადე ამაზე არ თანხმდება და „იუვეს" რიგებში დარჩენა სურს.

## ოუენის აუცილებელია!

„ნიუკასლ იუნაიტედის" დროებითმა მთავარმა მწვრთნელმა ჯო კინეარმა კლუბის ხელმძღვანელობას მაიკლ ოუენის „სენტ ჯეიმს პარკზე" დატოვება სთხოვა. 28 წლის თავდამსხმელს ზაფხულში „კაჭკაჭებთან" კონტრაქტის ვადა ეწურება. „ოუენისნაირი მოთამაშეები „ნიუკასლისთვის" უბრალოდ აუცილებელია. არ ვიცი, ზამთრის შემდეგ გუნდს ვუხელმძღვანელებ თუ არა, მაგრამ ოუენი „ნიუკასლში" რომ უნდა დარჩეს, ეს ცხადია" — აღნიშნა ირლანდიელმა სპეციალისტმა.

არჩილ ქოგახიძე

სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 83 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 2.55 | 3.20 | 2.65 | 1.41 | 1.29 | 1.44 |
| 19:00 | 84 | სანდერლენდი-პორტსმუთი | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| 19:00 | 85 | სიტი-ტოტენჰემი | 2.25 | 3.20 | 3.20 | 1.32 | 1.32 | 1.60 |
| 21:30 | 87 | ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი | 1.20 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 4.10 |
| 19:00 | 89 | ჰალი-ბოლტონი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 16:45 | 94 | არსენალი-მანჩესტერი | 2.75 | 3.20 | 2.45 | 1.47 | 1.29 | 1.38 |
| 16:45 | 96 | უიგანი-სტოკი | 1.75 | 3.20 | 5.00 | 1.13 | 1.29 | 1.95 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 90 | ფულემი-ნიუკასლი | 2.30 | 3.20 | 2.95 | 1.33 | 1.29 | 1.53 |
| 17:30 | 91 | ბლეკბერნი-ჩელსი | 6.50 | 3.70 | 1.50 | 2.35 | 1.21 | 1.06 |
| 19:00 | 93 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 1.70 | 3.40 | 5.30 | 1.13 | 1.28 | 2.07 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 4 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 127 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 884 | ერდრი-დანფერმლაინი | 2.55 | 3.30 | 2.30 | 1.43 | 1.20 | 1.35 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 4 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 892 | აუსტრია კერნტენი-რაპიდი | 2.75 | 3.10 | 2.30 | 1.45 | 1.25 | 1.32 |
| | | ირლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 887 | სტ.პატრიკსი-კორკი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| | | უეფა. ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 4 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 1 | კლუჟი-ბორდო | 2.30 | 3.20 | 3.10 | 1.33 | 1.32 | 1.57 |
| 23:45 | 2 | რომა-ჩელსი | 3.30 | 3.20 | 2.20 | 1.62 | 1.32 | 1.30 |
| 23:45 | 3 | ანორთოსისი-ინტერი | 7.00 | 3.40 | 1.50 | 2.28 | 1.23 | 1.04 |
| 23:45 | 4 | ანორთოსისი-ინტერი 1: 0 | 2.35 | 3.30 | 2.55 | | | |
| 23:45 | 5 | ვერდერი-პანათინაიკოსი | 1.45 | 4.20 | 7.00 | 1.07 | 1.20 | 2.62 |
| 23:45 | 6 | ვერდერი-პანათინაიკოსი 0:1 | 2.15 | 3.40 | 2.80 | | | |
| 23:45 | 7 | სპორტინგი-შახტარი | 1.80 | 3.30 | 4.65 | 1.16 | 1.29 | 1.93 |
| 23:45 | 8 | ბარსელონა-ბაზელი | 1.10 | 8.00 | 20.00 | 1.00 | 1.04 | 5.71 |
| 23:45 | 9 | ბარსელონა-ბაზელი 0:1 | 1.25 | 5.30 | 6.30 | | | |
| 23:45 | 10 | ლივერპული-ატლეტიკო | 1.65 | 3.40 | 5.75 | 1.11 | 1.28 | 2.13 |
| 23:45 | 11 | მარსელი-პსვ | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| | | 5 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 12 | ოლბორგი-ვილიარეალი | 7.00 | 4.00 | 1.45 | 2.54 | 1.20 | 1.06 |
| 23:45 | 13 | ოლბორგი-ვილიარეალი 1:0 | 2.80 | 3.40 | 2.15 | | | |
| 23:45 | 14 | სელტიკი-მანჩესტერი | 5.00 | 3.40 | 1.70 | 2.02 | 1.26 | 1.13 |
| 23:45 | 15 | სელტიკი-მანჩესტერი 1:0 | 2.15 | 3.30 | 2.80 | | | |
| 23:45 | 16 | ფიორენტინა-ბაიერნი | 2.35 | 3.25 | 2.90 | 1.36 | 1.29 | 1.53 |
| 23:45 | 17 | ლიონი-სტიაუა | 1.35 | 4.30 | 10.00 | 1.02 | 1.18 | 3.00 |
| 23:45 | 18 | ლიონი-სტიაუა 0:1 | 2.00 | 3.50 | 3.00 | | | |
| 23:45 | 19 | არსენალი-ფენერბაჩე | 1.30 | 4.80 | 10.00 | 1.02 | 1.15 | 3.24 |
| 23:45 | 20 | არსენალი-ფენერბაჩე 0:1 | 1.75 | 3.70 | 3.60 | | | |
| 23:45 | 21 | დინამო კ-პორტუ | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 23:45 | 22 | ბატე-ზენიტი | 4.20 | 3.40 | 1.85 | 1.87 | 1.28 | 1.19 |
| 23:45 | 23 | რეალი-იუვენტუსი | 1.65 | 3.50 | 5.50 | 1.12 | 1.26 | 2.13 |
| 23:45 | 24 | რეალი-იუვენტუსი 0:1 | 2.80 | 3.30 | 2.15 | | | |
| | | უეფა. უეფას თასი | | | | | | |
| | | 6 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 66 | მეტალისტი-ჰერტა | 2.45 | 3.10 | 2.75 | 1.36 | 1.29 | 1.45 |
| 21:00 | 67 | შტუტგარტი-პარტიზანი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 21:00 | 68 | სპარტაკი-უდინეზე | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 22:30 | 69 | ფეიენოორდი-ცსკა | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 21:45 | 70 | ლეხი-ნანსი | 2.40 | 3.20 | 2.85 | 1.37 | 1.30 | 1.50 |
| 22:45 | 71 | ვოლფსბურგი-ჰენერვენი | 1.57 | 3.50 | 5.50 | 1.08 | 1.22 | 2.13 |
| 23:45 | 72 | აიაქსი-ჟილინა | 1.40 | 4.20 | 8.00 | 1.04 | 1.19 | 2.75 |
| 23:30 | 73 | ბენფიკა-გალათასარაი | 1.85 | 3.30 | 4.30 | 1.18 | 1.29 | 1.86 |
| 23:45 | 74 | რასინგი-შალკე | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| 23:45 | 75 | სლავია-ასტონ ვილა | 2.80 | 3.10 | 2.40 | 1.47 | 1.29 | 1.35 |
| 23:45 | 76 | სიტი-ტვენტე | 1.45 | 4.00 | 7.50 | 1.06 | 1.21 | 2.60 |
| 23:45 | 77 | სტ.ეტიენი-რუსენბორგი | 1.75 | 3.40 | 5.00 | 1.15 | 1.29 | 2.02 |
| 23:45 | 78 | სტანდარდი-სევილია | 2.60 | 3.25 | 2.40 | 1.44 | 1.24 | 1.38 |
| 23:45 | 79 | მილანი-ბრაგა | 1.20 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 4.00 |
| 23:55 | 80 | ტოტენჰემი-დინამო ზ | 1.55 | 3.70 | 6.00 | 1.09 | 1.23 | 2.28 |
| 23:55 | 81 | ვალენსია-კოპენჰაგენი | 1.30 | 4.70 | 10.00 | 1.01 | 1.15 | 3.19 |
| | | სამხრეთ ამერიკა. თასი | | | | | | |
| | | 5 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 888 | არგენტინოს ხუნიორსი-პალმეირასი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 23:55 | 889 | ბოტაფოგო-ესტუდიანტესი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |
| | | 6 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 890 | ჩივასი-რივერ პლეიტი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 23:55 | 891 | ბოკა ხუნიორსი-ინტერნასიონალი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| | | ინგლისი | | | | | | |
| | | Johnstones Paint Trophy | | | | | | |
| | | 4 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 876 | ტრანმერე-მორქემბი | 1.57 | 3.60 | 5.50 | 1.09 | 1.22 | 2.17 |
| 23:00 | 877 | შრიუსბერი-დაგენემი | 1.85 | 3.40 | 3.80 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 23:30 | 878 | სქანთორპი-როჩდეილი | 1.65 | 3.60 | 4.30 | 1.13 | 1.19 | 1.95 |
| 23:45 | 879 | ბორნმუთი-კოლჩესტერი | 2.65 | 3.40 | 2.25 | 1.48 | 1.21 | 1.35 |
| 23:45 | 880 | დარლინგტონი-ბერი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 881 | უოლსოლი-ლუტონი | 1.65 | 3.40 | 4.55 | 1.11 | 1.21 | 1.94 |
| 23:45 | 882 | როთერჰემი-ლესტერი | 2.90 | 3.30 | 2.15 | 1.54 | 1.23 | 1.30 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 4 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 613 | ბრაიტონი-დერბი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | კლუჟი-ბორდო | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10002 | რომა-ჩელსი | 3.70 | 2.00 | 2.40 | 1.29 | 1.45 | 1.09 |
| 10003 | ანორთოსისი-ინტერი | 5.80 | 2.10 | 1.75 | 1.54 | 1.34 | 1.00 |
| 10005 | ვერდერი-პანათინაიკოსი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10007 | სპორტინგი-შახტარი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10010 | ლივერპული-ატლეტიკო | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10011 | მარსელი-პსვ | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10876 | ტრანმერე-მორქემბი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10877 | შრიუსბერი-დაგენემი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10878 | სქანთორპი-როჩდეილი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10879 | ბორნმუთი-კოლჩესტერი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10880 | დარლინგტონი-ბერი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10881 | უოლსოლი-ლუტონი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10882 | როთერჰემი-ლესტერი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10012 | ოლბორგი-ვილიარეალი | 5.80 | 2.10 | 1.75 | 1.54 | 1.34 | 1.00 |
| 10014 | სელტიკი-მანჩესტერი | 5.20 | 2.10 | 2.00 | 1.49 | 1.44 | 1.02 |
| 10016 | ფიორენტინა-ბაიერნი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10017 | ლიონი-სტიაუა | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10019 | არსენალი-ფენერბაჩე | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10021 | დინამო კ-პორტუ | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10022 | ბატე-ზენიტი | 4.60 | 2.10 | 2.15 | 1.44 | 1.46 | 1.06 |
| 10023 | რეალი-იუვენტუსი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10066 | მეტალისტი-ჰერტა | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10067 | შტუტგარტი-პარტიზანი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10068 | სპარტაკი-უდინეზე | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10069 | ფეიენოორდი-ცსკა | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10070 | ლეხი-ნანსი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10071 | ვოლფსბურგი-ჰენერვენი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10072 | აიაქსი-ჟილინა | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10073 | ბენფიკა-გალათასარაი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10074 | რასინგი-შალკე | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10075 | სლავია-ასტონ ვილა | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10076 | სიტი-ტვენტე | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10077 | სტ.ეტიენი-რუსენბორგი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10078 | სტანდარდი-სევილია | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10079 | მილანი-ბრაგა | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10080 | ტოტენჰემი-დინამო ზ | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10081 | ვალენსია-კოპენჰაგენი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | კლუჟი-ბორდო | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11002 | რომა-ჩელსი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11003 | ანორთოსისი-ინტერი | 8.50 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.00 |
| 11005 | ვერდერი-პანათინაიკოსი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11007 | სპორტინგი-შახტარი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11008 | ბარსელონა-ბაზელი | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11010 | ლივერპული-ატლეტიკო | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11011 | მარსელი-პსვ | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11876 | ტრანმერე-მორქემბი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11877 | შრიუსბერი-დაგენემი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11878 | სქანთორპი-როჩდეილი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11879 | ბორნმუთი-კოლჩესტერი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11880 | დარლინგტონი-ბერი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11881 | უოლსოლი-ლუტონი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11882 | როთერჰემი-ლესტერი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11012 | ოლბორგი-ვილიარეალი | 8.50 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.00 |
| 11014 | სელტიკი-მანჩესტერი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11016 | ფიორენტინა-ბაიერნი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11017 | ლიონი-სტიაუა | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11019 | არსენალი-ფენერბაჩე | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11021 | დინამო კ-პორტუ | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11022 | ბატე-ზენიტი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11023 | რეალი-იუვენტუსი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11066 | მეტალისტი-ჰერტა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11067 | შტუტგარტი-პარტიზანი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11068 | ხპარტაკი-უდინეზე | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11069 | ფეიენოორდი-ცსკა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11070 | ლეხი-ნანსი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11071 | ვოლფსბურგი-ჰენერვენი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11072 | აიაქსი-ჟილინა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11073 | ბენფიკა-გალათასარაი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11074 | რასინგი-შალკე | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11075 | სლავია-ასტონ ვილა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11076 | სიტი-ტვენტე | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11077 | სტ.ეტიენი-რუსენბორგი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11078 | სტანდარდი-სევილია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11079 | მილანი-ბრაგა | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11080 | ტოტენჰემი-დინამო ზ | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11081 | ვალენსია-კოპენჰაგენი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**


ნიკო ჭავჭავაძე


ლევან მაისაშვილი

# ვის დარჩება მცირე
## ყოჩები და ლელოს ბოლო შანსი

**დღეს** 15 საათზე, „მიხელ მესხზე" საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის მცირე ფინალი გაიმართება „ვისოლი-ყოჩებსა" და „ლელოს" შორის.

„ყოჩემა" ავსტრალიური წესებით ჩატარებულ ნახევარფინალში იოლი გასეირნება მოიწყეს „აკადემიასთან", ხოლო „ლელომ" უდაბაბულეს ჯახში წააგო „ლოკომოტივთან". აქვე ვთქვათ, რომ მცირეფინალისტები დაახლოებით თანაბარი ძალისანი არიან და აქედან გამომდინარე, პროგნოზის გაკეთება ჭირს. რეგულარულ ჩემპიონატშიც ამ გუნდებმა თითოჯერ მოუგეს ერთმანეთს. ერთი სიტყვით, ყველანაირი წინაპირობა არსებობს საიმისოდ, რომ სტადიონზე მისულმა მაყურებელმა თვალსასეირო რაგბი ნახოს.

გუშინ ორივე გუნდის მწვრთნელს შევეხმიანეთ და ნიკო ჭავჭავაძესაც და ლევან მაისაშვილსაც მცირე ინტერვიუები ჩამოვართვით...

**ნიკო ჭავჭავაძე**, *„ვისოლი — ყოჩების" მწვრთნელი:* დაძაბული შეხვედრა გველის. „ლელო" მშვენიერი გუნდია. მიუხედავად იმისა, რომ „ლოკომოტივთან" მომქანცველ მატჩში დამარცხდა, ეს მაინც არ გვანიჭებს უპირატესობას. ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ და მოედნის ყოველი გოჯისთვის ვიბრძოლოთ.

**— მატჩის წინ ხომ არავინ დაშავდა, ან შემადგენლობას თუ შეემატა ვინმე ახალი?**

— საბედნიეროდ, მცირე ფინალს ტრავმების გარეშე ჩაიარა ვხვდებით. გუნდს ტრავმამოშუშებული გიგი კალმახელიძე დაუბრუნდა.

**— წინასამატჩოდ შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— პროგნოზს ვერ გავაკეთებ, ძალიან ძნელია... ერთი კი არის, რომ განსხვავებული ტაქტიკით ვითამაშებთ, ვიდრე „აკადემიასთან". მაყურებელმა ნახევარფინალში ჩვენი რეალური ძალა ვერ ნახა. მათ კარგ სანახაობას ვპირდებით.

**ლევან მაისაშვილი**, *„ლელოს" მწვრთნელი:*

— წვრილ-წვრილი ტრავმები გვაწუხებს, მაგრამ საგანგაშო და გამოუსწორებელი არაფერია. მართალია, წინა შეხვედრა ჩვენივე შეცდომების წყალობით დავთმეთ, მაგრამ, ვფიქრობ, გუნდის განწყობაზე ამას უარყოფითად არ უმოქმედია.

**— შანსებზე რას გვეტყვით?**

— ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. გააჩნია, რომელი გუნდი გამოიყენებს მომენტებს უფრო ეფექტურად. იმედია, „ლოკომოტივთან" განიავებულ შანსებს „ყოჩებთან" ავინაზღაურებთ.

**ზურაბ მიგრიაული**




# ჩვენების ფრანგული ამბები

**საფრანგეთის** ელიტარულ ლიგაში უკვე მეცხრე ტური მიიწურა. მთავარი სიახლე „არაქართული" გუნდისაა — ტოპ-14-ს ახალი ლიდერი ჰყავს — „ტულუზმა" სატურნირო ცხრილში გადაასწრო „სტად ფრანსეს" და თუმცა ორ ბობოლას შორის ქულები თანაბარია, მაგრამ წინ გატანილი და გაშვებული ბურთებით ლიდერი „ტულუზაა".

„ტულუზის" გალიდერებაში ირიბად, მაგრამ მაინც ურევია ქართველის ხელი — კლერმონელმა დათო ზირაქაშვილმა მოედანზე სამოცდაშვიდი წუთი დაჰყო და „სტად ფრანსესთან" გამარჯვებაში როგორც ჩვევია ხოლმე დიდი წვლილი შეიტანა. თავსხმა წვიმაში ორივე გუნდის მორაგბეებმა რამდენადაც შეეძლოთ ფეხით ითამაშეს. მასპინძლები მესამე წუთზე „ლე ბლეს" წევრმა შერკინების ნახევარმცველმა პიერ მინიონმა ლამაზი ლელოთი დააწინაურა, რომელიც პივოტმა ბენუა ბაბიმ სოლო-რეიდით დაიწყო, შებოჭილმა ბურთი აუგდო ნაპოლიონი ნალანგას, რომელმაც ჯვარზე შეიყვანა მარიუს იუბერი, ამან კი ხელუკუღმა დამალული პასით მონახა მინიონი, რომლის დამჭერიც არავინ აღმოჩნდა. „საკონტროლო გასროლა" ისევ ბაბიმ შეასრულა — მისმა ორმოცდაათი მეტრიდან დაქუხებულმა არეკნმა სტუმრებს, რომლებსაც აქამდე მხოლოდ ორი ჯარიმა შეეგდოთ, თამაშში გარდატეხის შეტანის ოცნების ხალისი დაუკარგა.

„ტულუზმა" შანსი ხელიდან არ გაუშვა და ბასკურ „ბრივთან" მოგებული თამაშით დედაქალაქელებს გადაუსწრო. „ბრივის" შემადგენლობაში პირველ ნომრად სამოცდაათი წუთი ბულრაობდა დათო ხინჩაგაშვილი, რომელმაც თანაგუნდელებთან ერთად გვარიანად გააწვალა საფრანგეთის მორიგი ჩემპიონი. ოცდამეცხრამეტე წუთზე ბასკების ინგლისელმა პივოტმა ენდი გუდმა არეკნით წინ გაიყვანა სტუმრები და პირველი ნახევარი 11:12 დამთავრდა. „ტულუზს" მაგარი ომით მოუხდა უპირატესობის მიღწევა — მათ მხოლოდ ერთი, დუზატუს მიერ გატანილი ლელოს წყალობით ძლიეს მეტოქეს.

„კასტრისა" და „მონპელიეს" მატჩში აქცენტი გიორგაძე და მამუკა გორგოძე დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. სატურნირო ცხრილის ბოლოდან მეორეს, გიორგაძის „კასტრს" მოგება ჰაერივით სჭირდებოდა და საკუთარი კედლებით შეგულიანებულმა თამაში ჯიგრით დაიწყეს. ანგარიში მასპინძლებმა ლელოთი გახსნეს, რასაც „მონპელიემ" არეკნით უპასუხა. პირველი ნახევრის მიწურულს თამაში გათანაბრდა და უკვე მეორე ტაიმში სტუმრები გამოიყურებოდნენ უფრო სოლიდურად. თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა, თუმცა მეორეხაზელი ვასილი ბოსთის ლელოს მასპინძლებმა ველარაფრით უპასუხეს, გიორგაძე მოედანზე 65-ე წუთზე შეუშვეს, ხოლო გორგოძემ მთელი მატჩი ითამაშა.

უშუალო კონკურენტის „ბურგუენის" ძლევით ირაკლი გიორგაძის „დაქსმა" მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. ირაკლი წლების მანძილზე „ბურგუენში" თამაშობდა, თუმცა ეს არ უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ პატარა გიორგაძე ყოფილ გუნდთან დაპირისპირებაში განაცხადში არ ყოფილა. „დაქსმა" ორი ლელო დადო, რომლებიც ათიანა ნომერმა ვიგნაუ-თუქემ გარდასახა და მანვე შეაგდო ექვსი ჯარიმა.

„მონტობანი" - „ტულონის" მატჩში ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშა გია ლაბაძემ. „ტულონის" ვარსკვლავურ გუნდში არც ახალგაზრდა ბურჯი დავით ქუბრიაშვილი გამოჩენილა. სამაგიეროდ, „მონტობანის" სასტარტოში იყო უბერებელი გოდერძი შველიძე, რომელიც 52-ე წუთზე შეცვალეს. გოდერძის გუნდს წინა ტურში „კლერმონისთვის" სტუმრად ჰქონდა მოგებული, თუმცა „ტულონის" ამგვარ გაბითურებას არავინ ელოდა - მასპინძლებმა მოწინააღმდეგეს ექვსი ლელო გაუტანეს, რომელთაგანაც სამი მარტო ერთი კაცის - დელასაუს ანგარიშზეა.

**ნიკა კოპაძე**


დავით ხინჩაგაშვილი

ავტორბოლა

# ჩემპიონი ნივაში გადაჯდა


ოთარ თავართქილაძე

**კვირას** რუსთავის ავტოდრომზე წრიულ რბოლაში მეექვსე, დასკვნითი ეტაპი ჩატარდა და საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი გამოვლინდა. შეჯიბრება როგორც პროფესიონალებში, ასევე იუნიორებში ჩატარდა.

ჩემპიონი ოთარ თავართქილაძე გახდა. მას ბოლო ეტაპზე მეორე ადგილიც ეყო საბოლოო ჩათვლაში უძლიერესის სტატუსის მოსაპოვებლად. თავართქილაძეს ჯილდოდ „ჯი თი ეს ლადა-ვაზის" მიერ დაწესებული ავტომობილი „ნივა" ერგო.

იუნიორებში აბსოლუტური ჩემპიონი დიმიტრი ქობულია გახდა. ბოლო ეტაპზე ისიც მეორე ადგილზე გავიდა, მაგრამ ამან ჩემპიონობაში ხელი ვერ შეუშალა.

**ზურაბ მიგრიაული**

ცხენოსნობა

# მცირედან დიდისკენ

**სპორტის** ფსიქოლოგიის ცნობილ ამერიკელ სპეციალისტს ასე უთქვამს: „არსებობს მოსაზრება, რომ ნამდვილი ათლეტი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მიღწეულით და იგი ყოველთვის მიისწრაფვის სრულყოფილებისკენ: მხოლოდ ასეთი მიდგომა ქმნის სპორტსმენის მუდმივი პროგრესის გარანტიას.“

ფართო გავრცელების მიუხედავად, გავბედავ და სადავოდ გავხდი ამ აზრს და შევეცდები, დავასაბუთო, რომ სპორტული პროგრესის ყველაზე საიმედო პირობა პრაქტიკულად მიუღწეველი რაღაც სრულყოფილების წყურვილი კი არაა, არამედ მიზნის რეალური დასახვა, რაც საკუთარი შესაძლებლობების ფხიზელ შეფასებაზე იქნება დაფუძნებული“ (რობერტ ნაიდიფერი, „მოასპარეზე სპორტსმენის ფსიქოლოგია“, რუს. თარგმანიდან, 1979).

ამჯერად ამ აზრის განსჯას არ ვაპირებ. ისე კი ეს დებულება საგულისხმო უნდა იყოს სხვადასხვა სახეობის მწვრთნელებისა და სპორტსმენებისთვის და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დროისა და ვითარების შესატყვის გააზრებას მოითხოვს. პირადად მე მეგულება ქართველი სპორტსმენი, რომელიც მეცნიერის ამ თეორიული შეხედულების თითქოს დაპირისპირებული მხარეების გაერთიანებას ცდილობს. ეს სპორტსმენი 36 წლის უნივერსალური მხედარი **ზურაბ ჭინჭარაძეა**. „სარბიელის“ მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იყო საფრანგეთისა და, საერთოდ, ევროპის ცხენოსნობის დიდი ცენტრიდან — სომიურის საცხენოსნო სკოლიდან და შემდეგ კიევიდან მოწოდებული ცნობები — სახელოვანი ქართველი მამულიშვილისა და მხედრის ივანე ვაჩნაძის ცხოვრებისა და ღვაწლის დეტალები.

ზურაბის ოჯახი ამჟამად ბელგიაშია, სადაც მისი ჰოლანდიელი მეუღლე სამუშაოდ გადაიყვანეს კიევიდან. „სომიურის ზარები“ ახლა იქიდან გრძელდება...

**— ჯერ უცხენოდ ხარ მეცხენეობითა და ცხენოსნობით განთქმულ მაგ პატარა ევროპულ ქვეყანაში?**

— არა. მადლობა ღმერთს! სომიურიდან გადმოყვანისას ჩემი საკუთარი ფაშატი რომ დამელუპა, ევროსაბჭოს პროექტში მეცხენეობის ექსპერტად ვიყავი ჩართული, დაახლოებულ მხედრებთანაც მქონდა კავშირი. შემომთავაზეს ერთი ცნობილი მწვრთნელი ქალის 5 წლის ფაშატის გახედვნა. მოგეხსენებათ, ცხენოსნობაში, მეცხენეებში პირუტყვის შეფერილობასა და სხვა ნიშნებსაც თავისებური, ხშირად ხალხურიდან მომდინარე ცრურწმენები უკავშირდება. რამდენადაც ვიცი, ჩვენთანაც უნიშნო ცხენის უნარსა და ხასიათსაც უფრო ენდობოდნენ. ჰოდა, პოპოვას ქალს ეს ფეხკავშა ფაშატი გაუხედნავი დარჩენია. ადვილად დავიურვე, მერე წაფვასაც შევუდექით. გერმანული სახეობის, ვესტფალიური ჯიშისაა, მაგრამ ინგლისური სისხლიც საკმაოდ ურევია. ამიტომაც არც ისე დიდი ტანისაა, მინდაოში 163 სანტიმეტრია; რაც მთავარია, მოხდენილია, ლამაზად მოძრაობს. მუშტარიც გამოუჩნდა. კიეველმა მხედრებმა მირჩიეს: უცხენოდ დარჩენილხარ, ეს ფაშატი შენ გამოაჩინე, ეგებ შენვე დაგრჩეს, ვთხოვთ, ფასი არ აუწიოსო, მართლაც, შედარებით იაფად დამითმო — 3 000 ევროდ. მე და მამაჩემმა წამოვიყვანეთ მსუბუქ მანქანაზე გამობმული ცალადგილიანი ცხენსაზიდით.

**— მანდ კი დაბინავება არ გაჭირდებოდა...**

— ბრიუსელთან დიდი სააგარაკო სოფელია (ჩვენი წყნეთივით). 20 მანეჟია აშენებული. ჩემი ცხენის შემნახველს 10 ჰექტარი მინდორი აქვს გასადევრად. ძვირი კი ღირს აქ ცხენის შენახვა. შესაფერ სამუშაოს ვეძებ, რომ ამისთვის მაინც გამწვდეს ჯამაგირი.

**— რა დარგისთვის უნდა მოამზადო? კონკურისათვის?**

— არა, სამჭიდისათვის. ეს ჩემი დიდი ხნის ოცნებაა. ცხენიც შესაფერისია. კიევში ცოტ-ცოტას უკვე ვახტუნავებდი; აქ გაწვრთნილობის შესანიშნავი ოსტატები მუშაობენ, ოლიმპიადების მონაწილეებიც კი არიან. ასე რომ, ახლა სამანეჟო სვლაში ვმეცადინეობთ. ზამთარში საველე ვარჯიშებსაც ჩავრთავთ. სამჭიდიც ესაა სულ.

**— უახლოეს რეალურ მიზნად რა დაისახე?**

— სომიურში ყოველ შემოდგომას იმართება სამჭიდის დიდი ტურნირები ახალგაზრდა ცხენებით. უკრაინიდანაც ჩასულან ჩემი ნაცნობი მხედრები, მართალია, პირველ ოცეულშიც არ მოხვედრილან ჯერ, მაგრამ მე მჯერა ჩემი ახალი ბედაურის, ისიც, ვატყობ, უკვე მენდობა.

**— სომიურში კი, ალბათ, ახსოვხარ იქაურებს...**

— როგორც ჩანს. მაგრამ ეს მაინც ივანე ვაჩნაძის მადლია. ძალზე გამიხარდა, როდესაც რუსეთის აგრესიის შემდეგ კიევში მივიღე სომიურის სკოლის ცნობილი პედაგოგის, ვაჩნაძის აღზრდილის, გენერალ ანდრე გრანრივის წერილი, საკუთარი ხელით დაწერილი. მოხუცი კაცია, მდივანი და კომპიუტერი არ მოიხმარა. ამჟამად იგი სკოლის რჩეული „შაოსანი მხედრების“ ორმოცკაციანი გუნდის საპატიო პრეზიდენტია. მწერს, რომ შემძრა ჩემი ძვირფასი მასწავლებლის სამშობლოზე რუსეთის თავდასხმამო და კითხულობს, ნუთუ ახლაც გაიმეორებს ევროპა 1921 წლის შეცდომას და მარტო დატოვებს საქართველოს?

— არ გეცოდინება და ორი ქართველი მხედარი თავისი სურვილისამებრ, არავითარი სამსახურებრივი მოვალეობა რომ არ აკისრებდა, უმალვე აღმოჩნდა ცეცხლის ხაზზე — ვიქტორ გოგლიძე და დავით დუნდუა. აფხაზეთში ომის უკანასკნელ დღეებამდე ნაბრძოლი გოგლიძე და საქართველოს შსს სამინისტროს ცხენოსან ესკადრონში ნამსახური დუნდუა თავის ძველ ამხანაგებს, ახლა პროფესიონალ ოფიცრებს დაუდგნენ გვერდით. „მე შედარებით წყნარ ადგილას მოვხვდი, ვიქტორი კი შუაგულ ბრძოლებში — ცხინვალში აღმოჩნდა“, — მითხრა დათუნამ.

— ორიოდე ათეული მოქმედი მხედრიდან ორი რომ ასეთი სისწრაფით ცეცხლის ხაზს მიაშურებს, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს, მათ შორის, ჩვენი ცხენოსნების ხასიათზე. ამ ცნობამ ადამიანურად შემაშინა კიდეც და გამაამაყა...

**— გაისად, შემოდგომაზე, სომიურის ასპარეზზე უნდა გელოდოთ?**

— საერთოდ, საგაისოდ, როგორც ჩვენს ბოლო საუბარში ვთქვი, სომიურში სწავლის გაგრძელებას ვაპირებ ინსტრუქტორის წოდების მოსაპოვებლად (ახლა საერთაშორისო მწვრთნელის ლიცენზია მაქვს). ასე რომ, ჩემი და „დარიალის“ გამოსვლა (ასე გადავარქვი ჩემს ახალ ცხენს სახელი), ალბათ, მხოლოდ ერთი ტურნირით არ შემოიფარგლება.

**— გაგვანდე შენი უფრო შორეული მიზანიც.**

— ადრეც მითქვამს: ესაა, როგორც აღიარებულია გასული საუკუნის ევროპული სპეციალისტების მიერ, „კლასიკური ცხენოსნობის უმაღლესი მწვერვალის“ — სამჭიდის დარგში ცხენის სრულფასოვნად მომზადება (საკუთარი თავისაც, ცხადია) და პირადი საოლიმპიადო ლიცენზიის მოპოვება.

— ქართული ცხენოსნობა მორალურადაც და ისტორიულადაც იმსახურებს უფრო დიდ სარბიელს, ვიდრე გვაქვს. მაგრამ დღეს ეს სურვილი ირონიულადაც კი ჟღერს, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთ სახეობაში მაინც გუნდური მონაწილეობა შორეულ ამბად მესახება. ნეტავ, ამიერკავკასიის მასშტაბით მაინც მივაღწიოთ სტაბილურ მდგომარეობას. მაგრამ პირადი წარმატებისთვის თუკი რამე შესაძლებლობა გაგვიჩნდა, ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ.

**ნოდარ ებრალიძე**



2003 წელს „კავკასიის თასზე“ ახალგაზრდა ცხენით პირადი „დიდი პრიზის“ მომგები ზურაბ ჭინჭარაძე

ჩოგბურთი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფო პოლონეთში ჩაიჭრა

**პოლონეთის** ქალაქი კრაკოვი ჩოგბურთელთა 100 ათას დოლარიან ტურნის მასპინძლებს და იქ ქართველმა სოფო შაფათავამაც ითიამაშა, თუმცა საკვალიფიკაციო ბადიდან, ძირითადში გასვლა ვერ მოახერხა და ტურნირს დაემშვიდობა.

პირველ ტურში მისი მეტოქე ჩეხი დარინა სედეკოვა იყო და საკმაოდ დაძაბულ პაექრობაში შაფათავამ 7:6 4:6 6:4 იმარჯვა.

ქართველის მომდევნო მეტოქე ბოსნიელი მერვანა იუგიჩ-სალკიჩი იყო, ვინც ტურნირზე მესამე ნომრად იყო განთესილი. შაფათავამ ბოსნიელ ჩოგბურთელთან ვერაფერი გააწყო და 7:6 2:6 2:6 დამარცხდა. ისიც ვთქვათ, რომ სოფო შაფათავა სიცხიანი თამაშობდა.

**ნიკა ძოპაძე**

ჭადრაკი

# ჯობავამ რუსს მერ აჯობა

**ესპანეთში**, ბარსელონაში მიმდინარე საჭადრაკო ტურნირზე ქართველი ბაადურ ჯობავა მე-4 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეშია. ჯობავასთან ერთად პირველ-მეორე ადგილს რუსი ალექსანდრ დრეევი იყოფს, ვისთანაც ჩვენებურმა მოჭადრაკემ წააგო კიდეც მეოთხე ტურში თეთრი ფიგურებით.

ქართველს და რუსს 3-3 ქულა აქვთ, ამათ 0,5 ქულით ჩამორჩებიან: ბულგარელი კირილ გეორგიევი და ესპანელი ბორე მანუელ ლოპესი.

მეხუთე ტურში ბაადურ ჯობავას მეტოქე სწორედ კონკურენტ კირილ გეორგიევს დაუპირისპირდება შავი ფიგურებით.

კატალონიის მთავარქალაქში მიმდინარე ტურნირის ჩემპიონი პრიზთან ერთად 1500 ევროსაც დაისაკუთრებს.

**ნიკა ძოპაძე**

ჭიდაობა

# ქუთაისში კიბორძალიძე გაიხსენეს

**ქუთაისის** მერიის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და განათლების საქალაქო სპორტის სამსახურის მიერ ჩატარდა მე-7 საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 1992-93 წლებში დაბადებულებს შორის (გუნდური). ტურნირი ევროპის ორგზის ჩემპიონის, მსოფლიო ვიცე-ჩემპიონის აკაკი კიბორძალიძის ხსოვნას მიეძღვნა (შეჯიბრის მთავარი მსაჯი ვალერი კიბორძალიძე), მონაწილეობდნენ თბილისის ნაკრები, თბილისი „შევარდენი“, შიდა ქართლის, გორის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთისა და ქუთაისის ნაკრებები. თითოეული გუნდი წარმოდგენილი იყო რვა წონითი კატეგორიის მოჭიდავეებით.

ფინალში ერთმანეთს ქუთაისის და თბილისის „შევარდენი“ დაუპირისპირდა. გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ, მესამე ადგილისთვის ერთმანეთს გორისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუნდები შეხვდნენ, წარმატებას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის გუნდმა მიაღწია და მესამე ადგილი დაიკავა. ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული, საპრიზო ადგილზე გასული გუნდები და ცალკეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვებულ იქნენ ფასიანი საჩუქრებით, თასებითა და სიგელებით.

**ბექან ჩხეიძე** *ზესტაფონიდან*

კარატე

# ზესტაფონური სანდა

**ამ** უქმეებზე ზესტაფონის სპორტული სკოლის დარბაზში, „სანდა„-ს ეროვნული ფედერაციის ეგიდით, ჩატარდა საქართველოს თასის გათამაშება. მონაწილეობდნენ თბილისის, რუსთავის, საგარეჯოს, ქუთაისის, ტყიბულის, აბაშის, თერჯოლისა და ზესტაფონის გუნდები. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის ორმა გუნდმა (შეჯიბრის მთავარი მსაჯი ოლეგ ფანჩულიძე), სპორტსმენები გადანაწილდნენ 30 წონით კატეგორიაში, ასაკი 6-25 წლამდე, სულ 140 მონაწილე. ორდღიანი უშელავათო ბრძოლების შემდეგ გამოვლინდა საპრიზო სამეული:

I ადგილი — ტყიბული

II აგილი — რუსთავი

III ადგილი — თერჯოლა

ორთაბრძოლების ორგანიზება საქართველოს აღმოსავლური ორთაბრძოლების „სანდა“-ს ეროვნულ ფედერაციასა და ზესტაფონის „იმედიმ“ ითავა.

**ბექან ჩხეიძე** *ზესტაფონიდან*

# უქმობის დროს საკითხავი
## ქართველების პოლონური გამოცდები

**წლეულს** საქართველოს ნაკრები პოლონეთში გასამართ ოთხთა ტურნირსღა ითამაშებს და მერე საკმაოხანს უქმობა მოუწევს.

25 ნოემბერს იმედო ფხაკაძის გაწვრთნილები პოლონეთს მიაშურებენ და იქ მასპინძლების, გერმანელებისა და ნორვეგიის ნაკრებებთან ერთად ითამაშებენ. უკვე 29 ნოემბერს კი ჩვენებს პოლონეთის ეროვნული ნაკრები გაეჯიბრება. 20 იანვარს ლუქსემბურგთან მოგებული „ჩელენჯ-ტროფის" ფინალის შემდეგ ნაკრებმა ერთად თავმოყრა ივლისში ვენეციაში გამართულ მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატზე მოახერხა და ახლა პოლონური ტურნეს შემდეგ „შვებულებაში" გადის.

შეკრებას რომ თავი დავანებოთ, ერთი წლის განმავლობაში ეროვნული ნაკრების სულ სამჯერ თავშეყრა ძალიან ცოტაა. სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ ჩვენებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში ჯერ ითამაშეს, არადა, 29 ოქტომბერს შვედეთის ნაკრებისთვის უნდა გვემასპინძლა, მაგრამ...

პოლონური ტურნე, გარკვეულწილად, სწორედ შესარჩევში უთამაშებლობით გაჩენილი სიცარიელის ამოვსებას ემსახურება. სხვა თუ არაფერი, ნაკრები მთელი ნახევარი წლის განმავლობაში ერთხელ მაინც ხომ უნდა შეიკრიბოს?! ჩვენებს ზემოთ ნახსენებ ტურნეზე საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ელით და გვარიანად რთული თამაშების ჩატარებაც მოუწევთ. მართალია, სამივე ნაკრები მეორე გუნდით გვეთამაშება, მაგრამ არ გვგონია, ნორვეგიის ან პოლონეთის მეორე ნაკრებებში ხელწამოსაკრავი ხელბურთელები თამაშობდნენ, ალარაფერს ვამბობთ გერმანიაზე. ასე რომ, ქართველებს პოლონეთში მძიმე გამოცდის ჩაბარება მოუწევთ. მართალია, თამაშები ამხანაგურია, მაგრამ ეს მათ მნიშვნელობას არანაირად არ აკნინებს. ბოლოს და ბოლოს ეს თამაშები, გარკვეულწილად, იმ შეკითხვებზე გასცემს პასუხს, რომელიც ნაკრების ევროშესარჩევში უთამაშებლობის მერე დაგროვდა. გეხსომებათ, ხელბურთის ზოგმა სპეციალისტმა თქვა, ამ ეტაპზე ჯობდა, ნაკრებს შესარჩევში არ ეთამაშა, რადგან ჯერ გრანდებთან შესახვედრად მზად არ ვართო... ჰოდა, ესეც საუკეთესო ვარიანტი შეფასების გასაკეთებლად. ევროპის შესარჩევის ჯგუფში მეტოქედ პოლონეთი, შვედეთი, რუმინეთი, ჩერნოგორია და თურქეთი გვყავდა.

პოლონეთში სწორედ მასპინძლებს გავეჯიბრებით. შვედეთს ნორვეგია ჩაანაცვლებს. გერმანელებზე უკეთეს მეტოქეს კი ვერც ვინატრებთ საკუთარი ძალების გამოსაცდელად. ახლა ის ვთქვათ, როგორ მდგომარეობაში ხვდებიან მოახლოებულ ტურნეს ნაკრების ხელბურთელები. მართალია, თამაშებამდე ლამის ერთი თვე წინაა, მაგრამ მომზადების თვალსაზრისით, ეს არც ისე დიდი დროა. მით უფრო, საქართველოს ნაკრებისთვის, როდესაც ბიჭები ერთმანეთის ნახვას და შეთამაშებას თითქმის ვერ ახერხებენ.

საქართველოს ჩემპიონატი 11 ნოემბერს იწყება და 25 ნოემბრამდე აქ მოთამაშე ხელბურთელებს რამდენიმე თამაშის გამართვა მოუწევთ. მეორე მხრივ, ისიც სათქმელია, რომ ზაფხულში ნაკრების ბევრი მოთამაშე გალეგიონერდა...

ნაკრების ლიდერმა სერგო დათუკაშვილმა სლოვენიურ „გორენჯეში" გადასვლის შემდეგ მალევე ტრავმა მიიღო და ბარე ორი თვე გაუცდა. თუმცა ბოლო ტურებში სერგო მოედანს დაუბრუნდა და თავის გუნდს გამარჯვებაშიც დაეხმარა როგორც პასებით, ისე გოლებით. „გორენჯე" ახლა სატურნირო ცხრილის თავშია წამოსკუპებული. წესით, დარჩენილ დროში სერგოს ფორმაში შესვლა არ უნდა გაუჭირდეს.

მაკედონიურ „მეტალურგში" მუდმივად თამაშობს რევაზ ჭანტურია. წლეულს მან ჩემპიონთა ლიგაშიც მოსინჯა ძალები და „კილთან" და „ბარსელონასთან" თამაშით გამოცდილებაც გაიმდიდრა. რეზო ახლა კარგ ფორმაშია. მისი გუნდი ჩემპიონატსაც არ ივიწყებს და მთავარმეტოქე „ვარდარს" 3 ქულით უსწრებს.

რუმინეთში ვლადიმერ რუსიაც და შოთა თევზაძეც სტაბილურად თამაშობენ და თავიანთ გუნდებში ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეებიც არიან.

თევზაძის „ბაკაუ" 14 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფს „კონსტანცასთან", რუსიას „დინამო" კი ამათ მერე მესამე ადგილზეა 12 ქულით. რუმინელ ლეგიონერებს, თამაშის მხრივ, არანაირი პრობლემა არ აქვთ. ახლა იქაურ ჩემპიონატში შესვენებაა.

რატი მსხვილიძის საქმე კი მთლად კარგად ვერ არის. ისლანდიური „სტიარნანი" გაკოტრდა და ლეგიონერები გაუშვა. რატი სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე საზღვარგარეთ გუნდს ვერ მოძებნის და, სავარაუდოდ, სტუ-ში ითამაშებს.

სხვა ლეგიონერები, ძირითადად, თურქეთისა და ირანის გუნდებში თამაშობენ. ზოგს მუდმივი სათამაშო პრაქტიკა აქვს, ზოგიც მოედანზე გასვლას იშვიათად ახერხებს. ახლა საკითხავი ისაა, პოლონეთში გამგზავრებამდე ნაკრები საერთოდ თუ მოახერხებს შეკრებას. დიდი შანსია, ლეგიონერების ნაწილმა პოლონეთს სულაც საკუთარი გუნდებიდან მიაშუროს.

**ლექსო მაისურაძე**






ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკა ცქიტიშვილი ოცდაერთით დაბრუნდა

ქართული საკალათბურთო ლეგიონზე გუშინაც გვეწერა, დღეს კი კიდევ ორ ლეგიონერზე მოგითხრობთ. ორივე ჩვენიანი ესპანეთში თამაშობს. ვლადიმერ ბოისამ უკვე მეექვსე თამაში ჩაატარა პირინეის ნახევარკუნძულზე, ნიკა ცქიტიშვილს კი საკმაოდ კარგი დებიუტი გამოუვიდა. „ცქიტა" თანაგუნდელთა შორის, უდავოდ, გამორჩეული იყო, ასეთი დებიუტი კი ალბათ ბევრი მოთამაშისთვისაა სანატრელი. ერთი ეგაა, რომ მისმა ახალმა გუნდმა „ფუენდაბრადიმ" წააგო შეხვედრა

**ფუენლებრადა 81:88 ბარსელონა**

ნიკა ცქიტიშვილი სანაკრებო თამაშების შემდეგ იტალიაში უნდა წასულიყო და „ტერამოში" კონტრაქტით გათვალისწინებული მეორე სეზონი ჩაეტარებინა, მაგრამ ისე მოხდა, რომ აპენინურ გუნდს ფინანსური პრობლემების გამო ქართველის თავის შემადგენლობაში გაჩერება არ შეეძლო. ცქიტიშვილი ახალი გუნდის ძებნას შეუდგა. მანამდე კი თბილისში ვარჯიშობდა.

ახალი გუნდიც მალე გამოჩნდა, ესპანეთის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე მადრიდული „ფუენლაბრადი", რომელთანაც გააფორმა კიდეც კონტრაქტი. მართალია, ეს გუნდი ესპანური გრანდების სიაში არასოდეს შედიოდა, მაგრამ ჩვენიანისთვის მაინც კარგი ვარიანტი გამოდგა.

ქართველის პირველი მატჩი ახალი გუნდის შემადგენლობაში, „ბარსელონას" წინააღმდეგ შედგა. ნიკამ ისე ითამაშა, ბევრი ვერც წარმოიდგენდა. ის თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მაგრამ მალევე ჩაერთო თამაშში და საკუთარი სიტყვაც თქვა — 21 ქულა 25 წუთში.

ცქიტიშვილი სამქულიანებს რომ კარგად ისროდა და თავისი სიმაღლის კი არა, გაცილებით დაბალ მსროლელებსაც რომ არ ჩამოუვარდებოდა, აქამდეც ვიცოდით, მაგრამ, რაც მან „ბარსასთან" გააკეთა, აღნიშვნის ღირსია — 7-დან 6 სამქულიანი ჩააგდო. ერთი ეგაა, რომ მადრიდელებმა თამაში წააგეს და ახლა ორი მოგებით და სამი წაგებით მეათე ადგილზე არიან ჩემპიონატში.

**ნიკა ცქიტიშვილი**: *25 წუთი, 21 ქულა, 5 მოხსნა, 1 დაკარგვა, 3 პერსონალური შენიშვნა, 2-დან 1 ორქულიანი, 7-დან 6 სამქულიანი, , 2-დან 1 საჯარიმო.*

**მენორკა 72:76 კანარია**

სადებიუტო მოგების შემდეგ მეხუთედ წააგო ვლადიმერ ბოისას „მენორკამ". ამჯერადაც მათ კარგად ითამაშეს, ბევრიც იბრძოლეს, მაგრამ ბოლო პერიოდი აშკარად ჩააგდეს, მოპოვებული უპირატესობაც წყალს გაატანეს და თამაშიც წააგეს.

თვითონ ბოისას ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. მან 10 ქულაც დააგროვა, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ისე კი კარგია, რომ ვოვა ახალ გუნდს ასე კარგად შეეწყო. ერთი ეგაა გულდასაწყვეტი, რომ თამაშების მოგებას ვერ ახერხებენ. ერთი გამარჯვება და ხუთი წაგება საწყის ექვს ტურში მართლაც უკეთესის სურვილს ტოვებს.

**ვლადიმერ ბოისა:** *24 წუთი, 10 ქულა, 2 მოხსნა, 1 შედეგიანი გადაცემა, 2-დან 2 ორქულიანი, 4-დან 1 სამქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო.*

**გიორგი არაბული**

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**საჩოგბურთო** სეზონი დასასრულს მიუახლოვდა და ცოტა ხანში პროფესიონალ ჩოგბურთელთა 2008 წლის რეიტინგები საბოლოო სახეს მიიღებს. თუმცა, მანამდე სეზონის დამაგვირგვინებელი შეჯიბრებებია ჩასატარებელი — რვა საუკეთესო ქალი ამ კვირაში დოჰაში თამაშობს, კაცთა ზერვეულს კი მომავალ კვირაში შანხაი უმასპინძლებს და დევისის თასის ფინალსა და ITF-ის ეგიდით გასამართ რამდენიმე პატარა ტურნირს თუ არ ჩავთვლით, სეზონი, ფაქტობრივად, დამთავრდება.

ორშაბათს კი ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა და მათში ჩვენთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლეა. ცუდით დავიწყოთ და ქალთა კლასიფიკაციაში რატომღაც არ არის თინა ყავლაშვილი, ვისაც ერთი კვირის წინ 18 სარეიტინგო ქულით 675-ე პოზიცია ეკავა. კარგი კი ის გახლავთ, რომ ოქსანა კალაშნიკოვამ კიდევ ერთი პოზიცია მოიგო და კარიერის საუკეთესო მაჩვენებელი 382-ე ადგილამდე ასწია. მნიშვნელოვანი წინსვლა აქვს ჭაბუკ ნიკოლოზ ბასილაშვილსაც, რომელმაც ერთი სარეიტინგო ქულა შეიმატა და ერთბაშად 85 საფეხურით მაღლა აიწია. დანარჩენი ჩვენებურების (და რეიტინგებში სულ 16 ქართველია — 7 კაცი და 9 ქალი) მდგომარეობა, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. ისინი დაახლოებით ისევ იქ არიან, სადაც ერთი კვირის წინ იყვნენ.

| კაცები | |
|---|---|
| 541 (+1) ირაკლი ლაბაძე | 48 |
| 952 (-7) ლაზარე კუხალაშვილი | 11 |
| 1154 (-4) ლადო ჩიხლაძე | 5 |
| 1231 (+85) ნიკოლოზ ბასილაშვილი | 4 |
| 1252 (-2) ნოდარ ითონიშვილი | 4 |
| 1566 (+5) ბექა ბუჩუკური | 1 |
| 1668 (+1) დემეტრე თაქთაქიშვილი | 1 |
| **ქალები** | |
| 167 (-1) ანა ტატიშვილი | 191 |
| 222 (0) მაკა ჩახნაშვილი | 127 |
| 252 (-2) სოფო შაფათავა | 107 |
| 282 (+1) ოქსანა კალაშნიკოვა | 57 |
| 654 (-5) სოფო ქვაცაბაია | 20 |
| 683 (-4) მანანა შაფაქიძე | 18 |
| 700 (+12) ეკა გორგოძე | 17 |
| 754 (-6) სალომე დევიძე | 14 |
| 911 (-5) სოფო მელიქიშვილი | 8 |

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 6675 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 5205 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4645 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 3420 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2315 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 1970 |
| 7. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 1950 |
| 8. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 1845 |
| 9. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 1780 |
| 10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1775 |
| 11. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1725 |
| 12. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1695 |
| 13. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 1510 |
| 14. გაელ მონფილზი (საფრანგეთი) | 1475 |
| 15. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1420 |
| 16. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 1415 |
| 17. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 1325 |
| 18. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 1245 |
| 19. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 1230 |
| 20. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1215 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 1335 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1041 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 929 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 684 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 463 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 394 |
| 7. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 390 |
| 8. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 369 |
| 9. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 356 |
| 10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 355 |
| 11. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 345 |
| 12. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 339 |
| 13. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 302 |
| 14. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 284 |
| 15. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 283 |
| 16. გაელ მონფილზი (საფრანგეთი) | 279 |
| 17. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 265 |
| 18. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 249 |
| 19. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 246 |
| 20. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 243 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4555 |
| 2. დინარა საფინა (რუსეთი) | 3752 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 3716 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3687 |
| 5. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3399 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3040 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2726 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2522 |
| 9. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2497 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2141 |
| 11. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1906 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1697 |
| 13. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 1678 |
| 14. ფლავია პენეტა (იტალია) | 1670 |
| 15. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1590 |
| 16. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1520 |
| 17. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1494 |
| 18. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1492 |
| 19. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1376 |
| 20. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1337 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4786 |
| 2. დინარა საფინა (რუსეთი) | 3823 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 3681 |
| 4. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3400 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3353 |
| 6. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2626 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2623 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2522 |
| 9. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2515 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2256 |
| 11. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1914 |
| 12. ფლავია პენეტა (იტალია) | 1814 |
| 13. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 1756 |
| 14. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1596 |
| 15. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1499 |
| 16. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1497 |
| 17. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1487 |
| 18. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1447 |
| 19. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 1410 |
| 20. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1370 |

# მერსი, ბერსი!

## ფრანგები ათეულში გამრავლდნენ




**ჟო-ვილფრედ ცონგა** სულ უკანასკნელ წამს შეახტა შანხაიში, მასტერსის თასად წოდებულ სეზონის დამაგვირგვინებელ შეჯიბრზე მიმავალ მატარებელს. ფრანგი, ვინც წელიწადი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გასვლით დაიწყო, მაგრამ შემდეგ სეზონის გვარიანი ნაწილი ტრავმების გამო გამოტოვა, შემოდგომაზე მშვენივრად ათამაშდა და ყველაფრის გვირგვინად პარიზში, „ბერსის“ დარბაზში მოგებული მასტერსი იქცა.

„ძალიან წარმატებული სეზონი გამოდგა. მთავარი ის არის, რომ შანხაის ტურნირს ტელევიზორით კი არ ვუყურებ, თავად ვიქნები მისი მონაწილე. ვინ იცის, იქნებ პარიზში ტრიუმფს კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოჰყვეს“ — განაცხადა ცონგამ, ვინც ამ წუთისთვის ორივე რეიტინგში მეშვიდე ადგილზეა.

აღსანიშნავია, რომ ცონგა 2001 წლის შემდეგ პირველი ფრანგია, რომელმაც შინაური მასტერსის მოგება შეძლო. ბოლოს ეს სებასტიენ გროსჟანმა გააკეთა და იმ სეზონში, ანუ 2001 წელს მასტერსის თასზეც ითამაშა. მერე ფრანგებიდან წლის დამაგვირგვინებელ შეჯიბრზე რიშარ გასკეც იყო (შარშან) და აი, არ არის გამორიცხული, რომ წლეულს შანხაიში ორი ფრანგი ვიხილოთ — ცონგა ხომ ითამაშებს ჩინეთში და დიდი შანსია, მას კომპანიონობა ჟილ სიმონმაც გაუწიოს, ვისაც რეიტინგებში მეცხრე ადგილი უკავია. სიმონი ყველა ვარიანტში წავა შანხაიში როგორც სათადარიგო, მაგრამ ისეთი პირი უჩანს, სათადარიგოობა საჩემპიონო რბოლის მე-10 ნომერს, ამერიკელ ჯეიმს ბლეიკს ერგება, რადგანაც არის იმის დიდი ალბათობა, რომ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ესპანელმა რაფაელ ნადალმა, ვინც პარიზში მუხლმა შეაწუხა, შანხაიში თამაშზე უარი თქვას დევისის თასის ფინალისთვის უკეთ მომზადების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, სიმონი პირდაპირ მოხვდება ზერვეულში.

აღსანიშნავია, რომ ორი ფრანგი რეიტინგის ტოპ-ათეულში 1988 წლის შემდეგ აღარ ყოფილა. ოცი წლის წინ ელიტაში იანიკ ნოა (მე-8) და ანრი ლეკონტი (მე-10) იყვნენ და ახლა კი, მერსი, „ბერსი“! — პარიზული მასტერსის შემდეგ ათეულში ცონგა და სიმონი შევიდნენ.

პარიზის შარშანდელი ტრიუმფატორი და წლეულს ფინალში ცონგასგან ძლეული დავიდ ნალბანდიანი კი შანხაიში ვერ წავა, რადგანაც რეიტინგში მხოლოდ მეთერთმეტეა. ეგ არაფერი, დევისის თასის ფინალისთვის უკეთ მოვემზადებიო, ცოტა არ იყოს, ნადალივით ფიქრობს ნალბანდიანი: „ცონგა ფანტასტიკურად თამაშობდა და მან დაიმსახურა გამარჯვება. მე კი მოხარული ვარ, ჩემი ქვეყნის ღირსებას რომ დავიცავ დევისის თასის ფინალში. ვფიქრობ, კარგ ფორმაში ვარ და ესპანელებთან მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები“.

სანამ კაცები შანხაიში წასასვლელად ემზადებიან, წლის საუკეთესო ქალებმა უკვე დოჰაში მოიყარეს თავი, სადაც დღეს WTA-ტურის წლის შემაჯამებელი შეჯიბრი დაიწყება. არაბულ მაგარსაფარზე სერბები — ელენა იანკოვიჩი და ანა ივანოვიჩი, ამერიკელები ვინუს და სერენა უილიამსები და დინარა საფინას, ელენა დემენტიევას, სვეტლანა კუზნეცოვასა და ვერა ზვონარიოვას რუსული ოთხეული ითამაშებენ.

წილისყრის შედეგად „თეთრ“ ჯგუფში სერბები, კუზნეცოვა და ზვონარიოვა მოხვდნენ, ხოლო „წითელ“ ჯგუფში — უილიამსები, საფინა და დემენტიევა.

აღსანიშნავია, რომ WTA-ტურის დამაგვირგვინებელი შეჯიბრი, რომელიც სხვადასხვა წლებში სხვადასხვა რეგლამენტით ტარდებოდა, ყველაზე მეტჯერ მარტინა ნავრატილოვას აქვს მოგებული. ლეგენდარულმა დედათმავალმა რვაჯერ მოიგო ეს ტურნირი და ბოლოს ეს 1986 წელს 30 წლის ასაკში გააკეთა, ამაზე ასაკოვანს კი წლის შემაჯამებელ შეჯიბრზე არავის უმარჯვია. რაც შეეხება ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულს, ასეთი მონიკა სელეში იყო, რომელმაც ტურნირი 1990 წელს 16 წლის ასაკში მოიგო.




საუკეთესო ჩოგბურთელი ქალები დოჰაში გამოეფინენ. მარცხიდან მარჯვნივ: ელენა იანკოვიჩი, დინარა საფინა, სერენა უილიამსი, ანა ივანოვიჩი, ელენა დემენტიევა, სვეტლანა კუზნეცოვა, ვინუს უილიამსი და ვერა ზვონარიოვა

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

# არავინ არაფერი არ იცოდა
## ბოლო კილომეტრების ქაოსი და დრამა

**პირველი** ფორმულის 59-ე ჩემპიონატის დასკვნითი, ბრაზილიური ეტაპის ბოლო კილომეტრები, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება განხილვის საგანი და დიდხანს ააფორიაქებს „სამეფო რბოლების“ მოყვარულთა ვნებებს.

„ინტერლაგოსის“ სველ ავტოდრომზე მართლაც წარმოუდგენელი, სუპერდრამატული სცენარით განვითარდა მოვლენები. ფინიშამდე ექვსი წრით ადრე, როდესაც „ფერარის“ ბრაზილიელი პილოტი ფელიპე მასა კომფორტულად ლიდერობდა, ხოლო „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელი მრბოლი ლუის ჰემილტონი ასევე კომფორტულად გრძნობდა თავს მეოთხე ადგილზე (საჩემპიონოდ მეხუთეც ჰყოფნიდა), სან პაულოში გაწვიმდა. თითქმის ყველა მრბოლმა ბოქსებს მიაშურა საბურავების შესაცვლელად. ყველამ, „ტოიოტას“ გერმანელი ტიმო გლოკის გარდა და შედეგად, მასა კი ისევ პელოტონის თავში დარჩა, მაგრამ ჰემილტონმა გადაინაცვლა მეხუთეზე. ეს უკვე სახიფათო იყო, რადგანაც სველ გზაზე ინგლისელს „ტორო როსოს“ ახალგაზრდა და ამბიციური გერმანელი სებასტიან ფეტელი დააჯდა კუდზე. დააჯდა და ფინიშამდე ორი წრით, ანუ სადღაც შვიდი-რვა კილომეტრით ადრე გაუსწრო კიდეც.

ჰემილტონისთვის ეს უკვე კატასტროფა, შარშანდელი კოშმარული დასასრულის გამეორება იყო. „ფერარის“ ბანაკში ჩემპიონობას ზეიმობდნენ, მასამ ფინიშის ხაზი რომ გადაკვეთა, ტრიუმფატორივით აღმართა ხელი, მაგრამ მის უკან, ფინიშამდე ორიოდე ვირაჟიღა რომ რჩებოდა, ფაქტობრივად ბოლო მოსახვევში, სასწაული მოხდა — „მშრალ“ საბურავებზე დარჩენილი გლოკი ვეღარ მოძრაობდა. ბოლოსწინა წრე მან წუთსა და 28 წამში გაიარა, ხოლო ბოლო წრეს ოცი წამით (!) მეტი, ანუ წუთი და 48 წამი მოანდომა და ფეტელმა და ჰემილტონმა, თითქოს გაჩერებული იყოო, ისე ჩაუქროლეს.

ჰემილტონი ჩემპიონი გახდა, ბრაზილია შოკში ჩავარდა. მთლად ისეთ შოკში არა, როგორშიც 1950 წლის საფეხბურთო მუნდიალის გადამწყვეტი მატჩის შემდეგ, მაგრამ ესეც გვარიანი დარტყმა იყო ცეკვის, ფეხბურთისა და პირველი ფორმულის მოყვარული ხალხისთვის. მასასთვის პოდიუმი ტანჯვა იქცა — კი იცემდა დიდის ამბით მკერდზე მჯიღს, მაგრამ თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

ტიროდა ჰემილტონიც, მაგრამ ეს, სულ სხვა ცრემლები და სხვა გრძნობები იყო. „სიტყვებით ვერ გადმოვცემ, რასაც განვიცდი. ჩვენ ძალიან გრძელი გზა გავიარეთ, გუნდმა ფანტასტიკური სამუშაო გასწია და მე ახლა არნახულად აღელვებული და ამაყი ვარ, რომ მოვიგე ეს ტიტული — ხარობდა 23 წლის ჰემილტონი — როდესაც ფეტელმა გამასწრო, გამოდევნება არ მიფიქრია, არ მინდოდა გამერისკა, რადგანაც მეგონა, რომ მეხუთე ვიყავი. ამ დროს შემატყობინეს, რომ ტიტულს ვკარგავდით და ისიც მაცნობეს, რომ წინ მყოფმა გლოკმა სიჩქარე დააგდო. საბედნიეროდ, ფინიშამდე ჯერ კიდევ იყო იმდენი მანძილი, რომ ტიმოსთვის გამესწრო. ფინიში რომ გადავკვეთე, ჯერაც არ ვიცოდი, გავხდი თუ არა ჩემპიონი და მხოლოდ მაშინღა დავწყნარდი, როდესაც გუნდმა შემატყობინა ამის შესახებ“.

„გავრისკე და „მშრალი“ საბურავებით დავრჩი, მაგრამ ბოლო წრეზე წვიმა ერთბაშად გაძლიერდა. ბოლიდის მართვა შეუძლებელი გახდა. მთლიანად საკუთარ შედეგზე ვიყავი კონცენტრირებული და არ ვიცოდი, რომ ტიტულის ბედი ჩემზე იყო დამოკიდებული. არც კი დამინახავს, როდის გამასწრო ლუისმა. რაღაც მომენტში, მარჯვნიდან თუ მარცხნიდან, ერთბაშად ოთხმა მანქანამ ჩამიქროლა, ზოგიერთნი წრეზე ჩამორჩენილებიც კი იყვნენ. იმ წვიმაში უკვე ვეღარაფერს ვხედავდი“ — ეს ტიმო გლოკის სიტყვებია, რომელმაც საბოლოო ჯამში თავისი რისკიანი სტრატეგიით მაინც მოახერხა ერთი პოზიციის მოგება და მეშვიდედან მეექვსე ადგილზე აინაცვლა.

თურმე, ვერც სებასტიან ფეტელი ხვდებოდა, რომ ჩემპიონობის მაძიებელთა დავაში საბედისწერო როლს ასრულებდა. „მძიმე და არეული რბოლა იყო. ბოლომდე არ ვიცოდი, რომელ ადგილზე ვიყავი. ლუისის გასწრება ვცადე და გამომივიდა. იმ მომენტში ნებისმიერს შევუტევდი. წარმოდგენა არ მქონდა, ვის რა პოზიცია ეკავა. გლოკს რომ გავუსწარი, ვიცოდი რომ ჰემილტონი ჩემს უკან იყო, მაგრამ რამდენი პილოტი იყო წინ და ვინ ვის მისდევდა, ჩემთვის გაუგებარი გახლდათ“ — განაცხადა ახალგაზრდა გერმანელმა.

„მაკლარენის“ შეფის რონ დენისის სიტყვებით, მათთვის სრულიად მოულოდნელი იყო, გლოკმა საბურავები რომ არ გამოცვალა. „მეოთხე ან მეხუთე ადგილზე ვიყავით კონცენტრირებულნი, როდესაც უცბად ყველაფერი აირია. ნამდვილად არ გვეგონა, გლოკი საბურავებს თუ არ გამოცვლიდა. ფაქტი იყო — ტიმო სიჩქარეს დააგდება და ამიტომაც ვფიქრობდით, გვებრძოლა ფეტელთან თუ არა. საბოლოო ჯამში წარმოუდგენელი რაღაც გამოვიდა და ლუისი მაინც გახდა ჩემპიონი. ის დიდებული მრბოლია და აბსოლუტურად იმსახურებს ტიტულს“ — ბრძანა დენისმა „აუტოსპორტთან“ საუბარში.

„მაკლარენის“ აღმასრულებელი დირექტორის მარტინ უიტმარშის სიტყვებით კი, გუნდმა უმალ მიიღო გადაწყვეტილება და მიზანში არა ფეტელი, არამედ გლოკი ამოიღო: „ჩვენ ვიცოდით, რომ შეცდომის და უაზრო რისკზე წასვლის უფლება არ გვქონდა. ფეტელი ამბიციური მრბოლია და მასთან სიფრთხილე იყო საჭირო. ამიტომაც გლოკი ამოვიღეთ მიზანში. ერთადერთი სანერვიულო ისღა იყო, გვეყოფოდა თუ არა მანძილი, მოასწრებდა თუ არა ლუისი ტიმოს გადასწრებას“.

ეყო, გადაასწრო, ჩემპიონი გახდა. შარშანდელი კოშმარი დავიწყებულია.

**ბაჩა ლომაძე**



ორიოდე წამის წინ ლუის ჰემილტონმა ტიმო გლოკს გაასწრო და ჩემპიონობისკენ გასწია



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხუთმარსკვლავიანი ლოები

**კლასიკურ** რალიში მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი, ბრიტანული ეტაპი კიდევ დარჩა, მაგრამ ჩემპიონის ვინაობა უკვე გასულ კვირას, იაპონიის რალის დასრულების შემდეგ გაირკვა.

რალის ფრანგ დიდოსტატს, სებასტიენ ლოებს ზედიზედ მეხუთე ტიტულის მოსაპოვებლად იაპონიაში მესამე ადგილიც ჰყოფნიდა და „სიტროენის“ მრბოლმა ეს პროგრამა-მინიმუმი ასპროცენტიანი სიზუსტით შეასრულა.

იაპონიის ჩრდილოეთი კუნძულის, ჰოკაიდოს მთავარქალაქ საპოროს მიდამოებში, გრუნტის გზებზე გამართულმა შეჯიბრმა ურთულეს პირობებში ჩაიარა — პირველივე დღეს გაწვიმდა და მართალია, შემდეგ გამოიდარა, მთელი რალის მანძილზე გზა სველი და წყლით გაჟღენთილი იყო. ასეთი გზები ლოებს დიდად არ მოსწონს და ამიტომაც იყო, თავიდანვე რომ ჩამორჩა „ფორდის“ ფინელ მრბოლებს, საჩემპიონო ბრძოლაში ერთადერთ კონკურენტ მიკო ჰირვონენსა და იარი-მატი ლატვალას. 29 სპეცმონაკვეთიდან ლოებმა მხოლოდ ორი მოიგო და ეს მაშინ, როდესაც ჰირვონენმა 11 დოპზე იმარჯვა, ხოლო ლატვალამ — ოთხზე. მიუხედავად ამისა, ფრანგი კომფორტულად ინარჩუნებდა სასურველ მესამე ადგილს, თუმცა ფინიშამდე ასიოდე მეტრით ადრე კინაღამ ყველაფერი წყალში ჩაეყარა — მანქანა მოუცურდა, მაგრამ შეძლო „სიტროენის“ გზაზე დაბრუნება და მეოთხე ადგილზე მყოფ ავსტრალიელ კრის ატკინსონს დაწევის საშუალება არ მისცა.

ლოები მესამე იყო, ეტაპი კი ჰირვონენმა მოიგო და ფრანგთან თავისი ჩამორჩენა 10 ქულამდე დაიყვანა, მაგრამ მიკომ უელსშიც რომ მოიგოს, ხოლო სები უქულოდ დარჩეს, ფინელი ფრანგს მხოლოდ დაეწევა და ჩემპიონი, მაინც ლოები იქნება, რადგანაც მან წლეულს 10 ეტაპზე იმარჯვა, მაშინ, როდესაც ჰირვონენისთვის იაპონური ტრიუმფი მხოლოდ მესამე იყო.

34 წლის სებასტიენ ლოები მეხუთედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და ეს ახალი და აბსოლუტური რეკორდია — ფრანგმა ოთხ-ოთხგზის ჩემპიონ ფინელებს, იუჰა კანკუნენსა და ტომი მაკინენს გაასწრო. თავის ათწლიან კარიერაში ლოებს 46 ეტაპი აქვს მოგებული და ესეც აბსოლუტური რეკორდი გახლავთ. თანაც სებმა ყველა ეს გამარჯვება „სიტროენის“ მანქანით და თავის უცვლელ მეწყვილე დანიელ ელენასთან ერთად გამოჭედა.

აი, რა იქნება მომავალში, ძნელი სათქმელია, რადგანაც „სიტროენი“ რალიში დარჩენას აღარ აპირებს და როგორ მოიქცევა თავად ლოები, არავინ იცის. მაგრამ ეს მომავლის საქმეა და ახლა კი სებასტიენი ზედიზედ მეხუთე ჩემპიონობას ზეიმობს: „წარმოუდგენელი წარმატებაა. განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ იაპონიის რალი ჩემთვის საშინლად რთული გამოდგა. ამინდი მუდმივად იცვლებოდა, თანაც ჩემზე კოლოსალური ზეწოლა იყო, მაგრამ მე გავუძელი და ყველაფერი ცუდი უკან დარჩა.“

**ბაჩა ლომაძე**

WRC World Rally Championship

### მსოფლიოს ჩემპიონატი კლასიკურ რალიში

XIV ეტაპი. იაპონიის რალი. საპორო. 31 ოქტომბერი-2 ნოემბერი

#### რბოლის შედეგები

| | |
|---|---|
| 1. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, „ფორდი“) | 3 სთ 25 წთ 03,0 წმ |
| 2. იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, „ფორდი“) | +31,1 წმ |
| 3. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი“) | +2.3[illegible] |
| 4. კრის ატკინსონი (ავსტრალია, „სუბარუ“) | +3.42,4 |
| 5. პერ-გუნარ ანდერსონი (შვედეთი, „სუძუკი“) | +5.12,90 |
| 6. ტონი გარდემაისტერი (ფინეთი, „სუძუკი“) | +6.09,40 |
| 7. მეტიუ უილსონი (ბრიტანეთი, „ფორდი“) | +7.05,30 |
| 8. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „სუბარუ“) | +13.19,90 |

#### საერთო ჩათვლა

1. ლოები 112 ქულა; 2. ჰირვონენი 102; 3. დანიელ სორდო (ესპანეთი, „სიტროენი) 59; 4. ლატვალა 50; 5. ატკინსონი 50; 6. პ. სოლბერგი 41; 7. ფრანსუა დიუვალი (ბელგია, „ფორდი“) 22; 8. ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, „ფორდ-მუნჩი“) 22; 9. ჯიჯი გალი (იტალია, „ფორდ-სტობარტი“) 17; 10. უილსონი 15

#### კონსტრუქტორთა თასი

1. სიტროენი 175 ქულა; 2. ფორდი 164; 3. სუბარუ 93; 4. ფორდ-სტობარტი 64; 5. სუძუკი 28; 6. ფორდ-მუნჩი 22

კალათბურთი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ოკლაჰომა კლებით უმატებს

2 ნოემბერი

**ნიუ იორკი 86:84 მილუოკი**

**ნიუ იორკი:** რიჩარდსონი (28), რენდოლფი (15 ქულა, 13 მოხსნა), რობინსონი (14)

**მილუოკი:** სეშენსი (18 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), ჯეფერსონი (18), რედი (16), ვილანუევა (16), ბოგუტი (13 ქულა, 11 მოხსნა)

**ოკლაჰომა 88:85 მინესოტა**

**ოკლაჰომა:** დურანტი (18), ვესტბრუკი (14)

**მინესოტა:** ჯეფერსონი (24 ქულა, 13 მოხსნა), სმიტი (13)

„ოკლაჰომა თუნდერს" მატება ეტყობა. ეს გუნდი — მცირე ხნის წინ სიეტლში რომ სახლობდა და სახელად „სუპერსონიქსი" ერქვა — გასულ სეზონში დაცვაში გვარიანად მოიკოჭლებდა, თამაშში საშუალოდ 106 ქულას უგდებდნენ, წლეულს კი აგერ მესამე შეხვედრა მოილია და 100 ქულა ერთხელაც არ ჩააგდებინა მეტოქეს. მართალია, წინა ორში დამარცხდა, მაგრამ ესეც საქმეში ჩაეთვალა ვეტერან მწვრთნელ ფიჯეი კარლესიმოს.

საკუთარ ნახევარზე გარჯამ ოკლაჰომელებს მესამე ცდაზე მოუტანა შედეგი. სუსტი „მინესოტა" ოკლაჰომაში დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს და გამარჯვების სიტკბო პირველად გაასინჯეს ნბა-ს კალათბურთზე ერთი ნახვით შეყვარებულ ოკლაჰომელებს. იყოჩალა წლევანდელ დრაფტზე აყვანილმა (მე-4 ნომერი) უკანახაზელმა რასელ ვესტბრუკმა, რომელმაც ბოლო წუთებზე ორჯერ მოჰპარა მინესოტელებს ბურთი და თავისიანები 86:85 დააწინაურა.

შემდეგ „ოკლაჰომამ" დარჩენილ ორ წუთში ზედიზედ ექვს შეტევაში ქულა არ აალებინა სტუმრებს და მართალია, თავადაც მხოლოდ ორი შეიმატა აქტივში, მაგრამ პირველი გამარჯვების მოსაპოვებლად ესეც ეყო.

დაცვაში გადაწყობა კარგად დაეტყო კიდევ ერთ აუტსაიდერ „მილუოკი ბაქსს", რომელიც ასევე 100 ქულის ქვემოთ ახერხებს მეტოქეთა შეკავებას და ამგვარად სამიდან ორი თამაში მოიგო, მათ შორის სადებიუტო გასვლა ოკლაჰომაში. ახლა კი „ნიუ იორკ ნიქსი" მისსავე „მედისონ სკვერ გარდენში" დასცა. მასპინძლებს ცნობილ პერსონალთა მთელი არმია ქომაგობდა. ჩვენ მხოლოდ სპორტსმენები გამოვარჩიოთ: ლეგენდარული მოკრივე როი ჯონსი, ნიუ იორკის მარათონის გამარჯვებულები — პოლა რედკლიფი და მარილსონ გომეს დოს სანტოსი, თუმც ამ გარემოებამ, რა გასაკვირია და, ვერაფერი შეცვალა. სკოტ სკაილზის შეგირდები დაცვაში რიგიანი თამაშის წყალობით სჯობდნენ შეტევის მოყვარული მაიკ დანტონის ნიუორკელებს.



რასელ ვესტბრუკი

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

2 ნოემბერი

**ატლანტა 5:3 ფლორიდა**

*1:0 3:2 1:1*

1:0 კოზლოვი (20), 2:0 კოვალჩუკი (26), 2:1 გუტი (27), 3:1 კოვალჩუკი (31), 4:1 ლიტლი (37), 4:2 ჰორტონი (39), 4:3 უელში (44), 5:3 უაიტი (60)

**კაროლინა 6:4 ტორონტო**

*0:1 4:2 2:1*

0:1 უაიტი (7), 1:1 კორვო (21), 1:2 გრაბოვსკი (28), 1:3 გრაბოვსკი (32), 2:3 უიტნი (37), 3:3 ჰელმინენი (38), 4:3 რუუტუ (40), 5:3 ლაროუზი (42), 5:4 ჰაგმანი (49), 6:4 სტაალი (60)

**ანაჰაიმი 3:2 კალგარი**

*1:0 2:1 0:1*

1:0 გეცლაფი (2), 2:0 პრონგერი (22), 3:0 კარტერი (23), 3:1 გლენკროსი (31), 3:2 ბერტუცი (42)

**კოლორადო 3:5 სან ხოსე**

*1:2 0:1 2:2*

0:1 მიხალეკი (8), 0:2 სეტოგუჩი (10), 1:2 ლეოპოლდი (15), 1:3 სეტოგუჩი (33), 2:3 ჰეიდუკი (42), 2:4 მიხალეკი (46), 3:4 ლაილზი (54), 3:5 კლოუ (59)

**ვანკუვერი 2:3 დეტროიტი**

*0:1 1:2 1:0*

0:1 სამუელსონი (14), 0:2 რაფალსკი (27), 1:2 ჰ. სედინი (31), 1:3 ზეტერბერგი (39), 2:3 ველვუდი (48)

**ფილადელფია 4:5 ედმონტონი**

*1:2 2:3 1:0*

0:1 კოული (10), 1:1 კნუბლი (11), 1:2 ჰემსკი (13), 1:3 ჰემსკი (25), 2:3 კობერნი (29), 2:4 განიე (31), 2:5 პენერი (32), 3:5 კარტერი (39), 4:5 სიმონი (41)

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| რეინჯერსი | 14 | 10 | 1 | 3 | 38:30 | 21 |
| ნიუ ჯერსი | 10 | 6 | 2 | 2 | 31:25 | 14 |
| პიტსბურგი | 12 | 6 | 2 | 4 | 32:29 | 14 |
| ფილადელფია | 11 | 4 | 3 | 4 | 43:41 | 11 |
| აილენდერსი | 10 | 2 | 1 | 7 | 25:37 | 5 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| მონრეალი | 10 | 8 | 1 | 1 | 37:24 | 17 |
| ბუფალო | 11 | 7 | 2 | 2 | 36:25 | 16 |
| ბოსტონი | 12 | 6 | 3 | 3 | 34:31 | 15 |
| ტორონტო | 12 | 5 | 3 | 4 | 35:41 | 13 |
| ოტავა | 11 | 4 | 2 | 5 | 31:31 | 10 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 11 | 6 | 2 | 3 | 32:32 | 4 |
| ვაშინგტონი | 10 | 5 | 1 | 4 | 32:34 | 11 |
| ტამპა | 10 | 4 | 3 | 3 | 22:24 | 11 |
| ფლორიდა | 11 | 4 | 1 | 6 | 25:35 | 9 |
| ატლანტა | 12 | 3 | 2 | 7 | 31:46 | 8 |

**დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 12 | 8 | 2 | 2 | 44:39 | 18 |
| ნეშვილი | 11 | 6 | 1 | 4 | 36:38 | 13 |
| ჩიკაგო | 11 | 5 | 3 | 3 | 36:32 | 13 |
| სენტ ლუისი | 10 | 5 | 0 | 5 | 32:30 | 10 |
| კოლუმბუსი | 11 | 4 | 1 | 6 | 31:37 | 9 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| მინესოტა | 10 | 7 | 1 | 2 | 29:22 | 15 |
| კალგარი | 12 | 7 | 1 | 4 | 36:34 | 15 |
| ედმონტონი | 11 | 6 | 1 | 4 | 26:31 | 13 |
| ვანკუვერი | 12 | 6 | 0 | 6 | 41:38 | 12 |
| კოლორადო | 11 | 5 | 0 | 6 | 35:36 | 10 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| სან ხოსე | 12 | 10 | 0 | 2 | 42:28 | 20 |
| ანაჰაიმი | 13 | 7 | 1 | 5 | 43:44 | 15 |
| დალასი | 12 | 4 | 2 | 6 | 35:50 | 10 |
| ფინიქსი | 9 | 4 | 0 | 5 | 21:26 | 8 |
| ლოს ანჯელესი | 10 | 3 | 1 | 6 | 27:30 | 7 |

*I გრაფა — თამაში; II — მოგება; III — ოვერტაიმში წაგება; IV — წაგება; V — შაიბების სხაობა; VI — ქულა*

მძლეოსნობა

# პოლა ცოცხალი ყოფილა



პოლა რედკლიფი

**უცნობილესი** და უპრესტიჟულესი ნიუ იორკის მარათონი ნოემბრის სუსხიან დღეს მოეწყო. ტაროსმა მაინც პატივი სცა მონაწილეებს და ნიუ იორკის ცნობილ პარკზე გამავალი გზა მშრალად შეუნახა მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან ჩასულ მორბენლებს. სირბილი კი სიცივეშიც რომ შეიძლება, ეს სტარტზეც გამოჩნდა, სადაც 15 ათასმა მორბენალმა მოიყარა თავი. მართალია, მათი სრული უმრავლესობა მოყვარულები გახლდნენ, თუმც ცნობილებიც არ აკლდა რიგით 39-ე გარბენს და დამაკმაყოფილებელი შედეგებიც დაფიქსირდა.

ჯერ ქალებისა ვთქვათ, რადგან მათ შორის იმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა პოლა რედკლიფმა. 35 წლის კანჭმაღალი ბრიტანელი ბევრს დიდი გზიდან გადასული და, ერთი ქართული ფილმის პერსონაჟის თქმისა არ იყოს, ალბათ მკვდარიც კი ეგონა, რადგან რედკლიფი ბოლო დროს იშვიათად ჩნდებოდა ხალხსა თუ ტელევიზორში. ტრავმები აწუხებდა, მერე დრო იხელთა და შვილიც გააჩინა, მერე ისევ ტრავმები, გამოტოვებული პეკინის ოლიმპიადა...

მაგრამ რედკლიფი ასაკში შესულიც რომ ბარე ორ ახალგაზრდას სჯობს, ახლაც გამოჩნდა. მან შესანიშნავი შედეგით მოიგო ნიუ იორკში, შანსიც კი არ დაუტოვა მდევრებს. ის ძალიან დიდხანს გარბოდა მცირე მოიერიშე ჯგუფთან ერთად, თუმცა ამ ჯგუფს თავში ედგა და ტემპსაც ის კარნახობდა. ფინიშამდე დაახლოებით 10 კილომეტრით ადრე კი ისარივით მოწყდა და ერთბაშად მოიპოვა გადამწყვეტი უპირატესობა, რომელიც დამაჯერებელ გამარჯვებად გარდასახა. მისი შედეგი იყო 2 საათი, 23 წუთი და 56 წამი... და პოლამ მეორე ადგილზე გასული რუსი ლუდმილა პეტროვა თითქმის ორი წუთით ჩამოიტოვა. მესამე იყო ამერიკელი კარა გაუჩერი. კენიელ-ეთიოპიელ მარათონელთა ძლევამოსილი არმია კი ამ ჯერზე სამეულს გარეთ დარჩა.

სამაგიეროდ, აფრიკელებმა კაცთა შორის იყოჩაღეს, თუმც არა იმდენად, რომ მთავარი პრიზი მოეპოვებინათ. მაროკოელი აბდერაჰიმ გუმრი (2:09.07) მეორე იყო, კენიელ დანიელ რონოს (2:11.20) კვარცხლბეკის მესამე საფეხური შეხვდა. პირველობა ბრაზილიელმა მარილსონ გომეს დოს სანტოსმა მოიპოვა, ვინც იმ სიცივეში კიდევ კარგი შედეგი აჩვენა — 2:08.43. იგი დისტანციის ნახევრის დაფარვის შემდეგ გაუმრისთან შეწყვილებული გაექცა მოიერიშე ჯგუფს და ისე ჩანდა, მაროკოელს მძიმედ მისდევდა, მაგრამ ფინიშამდე 800 მეტრით ადრე გაცოცხლდა და ქანცგაწყვეტილი მეტოქე ამ მოკლე მანძილზე ლამის ნახევარი წუთით ჩამოიტოვა.

მარათონზე, უფრო სწორედ მის შემდეგ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: 58 წლის ბრაზილიელმა მორბენალმა კარლეს ჟოზე გომეშმა შეძლო 42 კილომეტრის დაფარვა, მაგრამ ფინიშის გადაკვეთის შემდეგ ექიმებს დახმარება სთხოვა — თავს შეუძლოდ ვგრძნობო. სასწრაფოდ მანჰეტენის ერთ-ერთ ჰოსპიტალში გააქანეს, მაგრამ ვერ გადაარჩინეს. მის გარდა ჰოსპიტალში კიდევ ორი კაცი მოხვდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

რაგბი

# დამცრობილი ქურციკი

**სამხრეთაფრიკული** რაგბი სახეს იცვლის, უფრო ზუსტად, ლოგოს, რომელზეც ორი სიმბოლოა გამოსახული: მცენარე — სამეფო ფლორეა და ცხოველი — ანტალოპა სპრინგბოკი. ამათგან უპირატესობა ფლორეას მიენიჭება, რაკი ისაა სამხრეთ აფრიკის ყველანაირი სპორტული ნაკრების საერთო სიმბოლო და „ქურციკებად" წოდებულ მორაგბეთა გულზეც თავის დროზე ამიტომ შეეზიარა სპრინგბოკს.

რაგბის ქომაგები ცდილობენ „ქურციკის" დაცვას. ისინი ძველ სახელსა და ლოგოს მიეჩვივნენ და არ სურდათ მისი მცენარეზე გაცვლა. ქვეყნის რაგბის კავშირში ათასობით წერილი მივიდა ძველი ლოგოს დატოვების თხოვნით და იმ ჩინოვნიკელმა, რომლებსაც ქურციკის საერთოდ წაშლა სურდათ, ხელი აიღეს ამ ჩანაფიქრზე, მაგრამ ორი სიმბოლო დააცალკევეს (მაისურის სხვადასხვა მხარეს დაიხატება) და ზომებიც შეუცვალეს.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აჩველიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე



სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge